



ხოჭოს ფიგურა, ბრინჯაო. სიგრძე 3 სმ, დიამეტრი 1,5 სმ  
Figure of a bug, bronze. Length - 3 cm. Diameter - 1,5 cm

გარეკანზე: საკიდები, ცხოველების და ფრინველების ფიგურებიანი, ბრინჯაო. ცენტრში - ვერძის  
სტილიზებული ქანდაკება, სიგრძე 5 სმ, უღ. სიგანე 2,5 სმ  
On the cover: pendants with animals and birds figures, bronze. In the center - stylized figure of a ram,  
length-5 cm, width - 2,5 cm

ზიზი თორთლაძე, მარიამ გველესიანი


Zizi Tortladze, Mariam Gvelesiani

# ლარილარის სამაროვანი

## LARILARI BURIAL

*ეძღვნება ქართველი არქეოლოგის,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის  
შოთა ჩართოლანის ხსოვნას*

*Dedicated to the memory of Georgian archeologist,  
Doctor of Historical Sciences  
Shota Chartolani*



თბილისი • 2019 • Tbilisi



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტრო  
Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum

გამოცემა მომზადდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონკურსის „ორიენტირი“ - კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა“ ფარგლებში  
The current publication was prepared in the framework of the competition "Orientiri" - held by the Ministry of Education, Science, Culture and Sports, in support of the educational and scientific-research activities in the field of arts and culture

ნიგნში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში  
The materials used in the book are preserved in Georgian National Museum Svaneti Museum of History and Ethnography

პროექტის მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოსს დავით ლორთქიფანიძეს  
We would like to thank for the support of the project Prof. Dr. David Lordkipanidze, Director General of Georgian National Museum

განული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის მმართველს ეკა კიკნაძეს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ადმინისტრაციული სექტორის ხელმძღვანელს რუსუდან ჯაფარიძეს; დარეჯან კაჭარავას, იულონ გაგოშიძეს, რევაზ პაპუაშვილს, ლერი ჯიბლაძეს, ნანა რუსიშვილს, დარიკო ჟორჯოლიანს, ნარგიზ ნიგურიანს, ნათია გიგანს

We would like to express our gratitude for assistance to: Eka Kiknadze, Head of Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, Rusudan Japaridze, Administrative Manager of Georgian National Museum Svaneti Museum of History and Ethnography; Darejan Kacharava, Julon Gagoshidze, Revaz Papuashvili, Leri Jibladze, Nana Rusishvili, Dariko Zhorzholiani, Nargis Niguriani, Natia Gigani

პროექტის მონაწილეები:

ზიზი თორთლაძე, მარიამ გველესიანი, ნანა გოგინაშვილი, ხათუნა სონღულაშვილი, შალვა ლეჟავა, ეთერ გულედანი, ბეკა გირგვლიანი

Project participants:

Zizi Tortladze, Mariam Gvelesiani, Nana Goginashvili, Khatuna Songhulashvili, Shalva Lezhava, Eter Guledani, Beka Girgvliani

ნიგნის ავტორები: ზიზი თორთლაძე, მარიამ გველესიანი

Authors: Zizi Tortladze, Mariam Gvelesiani

რედაქტორი: მანანა სანადირაძე

Editor: Manana Sanadiradze

მთარგმნელი: მარიამ გოგუაძე

Translator: Mariam Goguaдзе

დიზაინი: ირაკლი ხუციშვილი

Design: Irakli Khutishvili

ფოტო: შალვა ლეჟავა

Photo: Shalva Lezhava



გამოცემაში გამოყენებულია 5 სმ სიგრძის მქონე სკალა  
This edition uses 5 cm length scale

ISBN 978-9941-9586-8-7

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2019

© Georgian National Museum, 2019



დაიბეჭდა შპს „ფორმა“-ში

www.forma.ge

წინამდებარე ნაშრომში ქვეყნდება ადრეანტიკური ხანის ლარლარის სამაროვანის, პირველ და მეორე კრემაციულ მოედნებზე აღმოჩენილი მასალა. ეს ძეგლი თავდაპირველად, 1964 წელს გერმანე გობეჯიშვილმა გათხარა. შემდეგში, 1965, 1967, 1980, 1981, 1982 წლებში, არქეოლოგიურ საველე-საძიებო სამუშაოებს შოთა ჩართოლანი ხელმძღვანელობდა. ძეგლის თარიღი ზოგადად, ძვ. წ. VI-III საუკუნეებში ექცევა.

სამაროვანზე, სულ აღმოჩნდა 4000-მდე ერთეული, საიდანაც ჩვენს მიერ გამოსაქვეყნებლად შერჩეულ იქნა მალალი მხატვრული ღირებულების და ქრონოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი 500 არტეფაქტი.

ნივთების უდიდესი ნაწილი ძლიერ ფრაგმენტირებულია და აღდგენას არ ექვემდებარება. ზოგიერთი - შემდგომ რესტავრაციას საჭიროებს. ეს მდგომარეობა, განსაკუთრებით მეორე კრემაციული მოედნის მასალაში აღინიშნება. შესაბამისად, ამ მოედნის არტეფაქტები წარმოდგენილია გრაფიკული ჩანახატებით, რომლებიც შ. ჩართოლანის არქეოლოგიური ექსპედიციის პერიოდშია შესრულებული.

In the present work we publish materials discovered in the first and second cremation platforms in the Larilari burial of the pre-antic period. First this monument was excavated in 1964 by Germane Gobejishvili. Later, in 1965, 1967, 1980, 1981, 1982, Shota Chartolani was heading archaeological field works there. The monument can be dated as VI-III cc. BC.

Approximately 4000 items were discovered at the burial site, but we chose most important 500 artefacts with regard to their high artistic value and chronology.

Most part of the artefacts are heavily fragmented and are not subject to restoration. Some need further restoration. This situation is mostly related to the second cremation platform. Therefore, artefacts from this platform are presented in sketches, which were made during Sh. Chartolani's archaeological expeditions.





სვანეთი არქეოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი კუთხეა" - ასე იწყებს ლარილარის სამაროვნისადმი მიძღვნილ გამოკვლევას მისი ავტორი შოთა ჩართოლანი, შესანიშნავი არქეოლოგი და მკვლევარი, რომელსაც წილად ხედა თავად გამხდარიყო სვანეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაზღუდვებელი. მართლაც, საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე თუ შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლების, ეკლესია-მონასტრებისა და მათში დაცემული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შედარებით მცირედ გვაქვს წინაქრისტიანული ხანის სვანეთის ყოფისა და კულტურის ამსახველი მასალა, ხოლო რაც გვაქვს, მათ გამოვლენასა და შესწავლაში ლომის წილი შოთა ჩართოლანს მიუძღვის.

ჯერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში მისი მოღვაწეობის შედეგად სვანეთსა და ზემო აფხაზეთში მიკვლეულ იქნა რიგი არქეოლოგიური ძეგლებისა, რომელთა ქრონოლო-

გია უზარმაზარ - ქვის ხანასა და გვიანშუასაუკუნეებს შორის დიაპაზონს მოიცავს. მათი მეცნიერული კვლევისა და შესწავლის შედეგები აისახა შ. ჩართოლანის მიერ გამოქვეყნებულ არაერთ ნაშრომში, რომლებშიც საქართველოს მთიანეთის ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხები სიღრმისეულად და ახლებურადაა გაშუქებული.

შ. ჩართოლანის ძალისხმევით დაბა მესტიაში თავის დროზე ამენდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის რეგიონალური განყოფილების არქეოლოგიური ბაზა-ფონდსაცავი, სადაც, სხვა ძეგლებთან, შ. ჩართოლანის მიერ 1960-იან და 1980-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ლარილარის სამაროვნის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი განთხარის მასალაც ინახებოდა.

2009 წლიდან ეს ძეგლები საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდსაცავში განთავსდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ლარილარის სამაროვანი: კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პერსპექტივები ფარგლებში, პროექტის მონაწილეთა (ზ. თორთლაძე, მ. გველესიანი, ნ. გოცინაშვილი, ხ. სონღულაშვილი, ე. გულედანი, შ. ლუგაფა, ზ. გირგვლიანი) მიერ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ჩატარდა ყველა ის სამუშაო (კამერალური დამუშავება, რესტავრაცია, ფოტოფიქსაცია), რასაც სამუზეუმო კოლექციის მონესრიგება და საპუბლიკაციოდ მომზადება მოითხოვს.

წინამდებარე გამოცემა ამ სამუშაოს შესრულების საბოლოო შედეგია.

ლარილარის კოლექციაზე საუბრისას განსაკუთრებული მონივნებით უნდა ვახსენოთ მისი დიდი მოამაგე, ჩვენგან ახლახან ნასული ლეილა ფანცხავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შესანიშნავი მკვლევარი და ღვანლმოსილი პიროვნება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ შესანიშნავი მასალის მოვლა-პატრონობასა და მზრუნველობაში.

ლარილარის სამაროვნში გამოვლენილი ნივთები (კერამიკა, იარაღ-საჭურველი, ცხენის აღჭურვილობის ნაწილები, სამეურნეო და სხვა), უპირველესად, მცირე პლასტიკის ნიმუშები: ბრინჯაოს ზოომორფულგამოსახულებებიანი ქანდაკებები; სამაჯურები, ფიბულები, ბეჭდები იშვიათი

კომპოზიციებით, საინტერესო მხატვრული გადაწყვეტითა თუ სემანტიკური ნიშნით, და სხვა არაერთი ნივთი მრავალდარგობრივი კუთხით ეკლექტის პერსპექტივას ქმნის.

ამ ნიგნს არ აქვს განაცხადი ლარილარის კრემაციული სამაროვნების სრული ეკლექტის შედეგების წარმოჩენისა, რადგან ამ ძნელ და შრომატევად საქმეს დარგობრივი მიდგომა და გარკვეული დრო ჭირდება. ჩვენი მიზანი უპირატესად იყო მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ამ კოლექციის მაქსიმალური სისრულით ამსახველი ფოტომასალა, რომელსაც ტექსტად დავურთეთ: ლარილარის სამაროვნის, როგორც არქეოლოგიური ძეგლის ზოგადი მიმოხილვა (ზიზი თორთლაძე), და კრემაციული დაკრძალვის ნესის ისტორიულ-რელიგიური ასპექტებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა (მარიამ გველესიანი).

ვიმედოვნებთ, რომ ეკლექტის ეს საწყისი ეტაპი გაგრძელებას პპოევებს მკვლევართა არაერთ ნაშრომში.

“Archaeologically Svaneti is one of the less studied regions” – this is how Shota Chartolani starts his study about Larilari burial, outstanding archaeologist and scholar, who had the honor to become the founder of archaeological studies in Svaneti. Indeed this most beautiful region of Georgia is distinguished by abundance of medieval period architectural monuments, churches, monasteries and diverse artefacts resting there. As for Pre-Christian period there is scarce material regarding mode of life and culture of Svaneti but the vast majority of whatever we have at present, was identified and studied by Shota Chartolani.

As a result of his work, first at Iv. Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography, and then in the Archaeological Research Center, a number of archaeological monuments have been identified in Svaneti and Zemo Apkhazeti; their chronology covers vast lapse of time between Stone and late Medieval periods. Their scientific research and study results were reflected in Shota Chartolani's number of works, where he shed light on history of Georgian mountainous regions, their mode of life and culture in an entirely new manner.

Long ago, in village Mestia, with efforts of Shota Chartolani, archaeological base fund-storehouse at the Svaneti regional department of the Archaeological Research Center was built. Together with other monuments, extremely interesting and

important excavated materials obtained during archaeological excavations carried out by Sh. Chartolani in 1960 and 1980s were preserved there.

From 2009 these monuments were placed at Archaeological fund storehouse of the Svaneti Museum of History and Ethnography at the Georgian National Museum.

In the framework of the project The Larilari Burial: Cultural Heritage Research and Popularization Perspectives supported by the Georgian Ministry of Education, Science, Culture and Sports and with the participation of project contributors (Z. Tortladze, M. Gvelesiani, N. Gogniashvili, S. Songhulashvili, A. Guledani, Sh. Lezhava, B.Girgvlani) all relevant works have been carried out at Svaneti Historic and Ethnographic Museum, which is required for the arrangement of museum collections and their preparation for publication.

Present publication is the result of this work.

When talking about Larilari collection, we have to recall with exceptional respect, a great person who just recently passed away - Laila Pantskhava, Doctor of Historical Sciences, great scholar, who contributed a lot for preserving and protecting this brilliant material.

Items discovered in Larilari burial (ceramics, weaponry, parts of horse tack, household, etc), primarily small items: statues with bronze zoomorphic images; bracelets, fibulas, rings with rare compositions, interesting artistic solutions or semantic signs and many other items create perspectives for further diversified study.

This book does not have ambition to present full results of the study of Larilari cremation burials as this difficult and complex task requires multi-sector approach and respective time.

Our prime aim was to present maximally complete photo-material of the collection to the readers, which is complemented by a few texts: General review of Larilari burial as an archaeological monument (Zizi Tortladze), and a study dedicated to historic and religious aspects of cremation rites (Mariam Gvelesiani).

We hope that this initial stage of investigation will be continued in other studies of scholars.

## შინაარსი

1.	წინათქმა.....	8
2.	სვანეთი: არქეოლოგიური შესწავლის სათავესთან .....	12
3.	ლარილარის სამაროვნი .....	18
4.	პირველი კრემაციული მოედანი .....	31
5.	კერამიკა.....	32
6.	იარალ-საჭურველი.....	43
7.	სამკაული .....	49
8.	მეორე კრემაციული მოედანი.....	69
9.	კერამიკა.....	71
10.	იარალ-საჭურველი.....	74
11.	სამკაული .....	74
12.	ლარილარის სამაროვნის ბეჭდები.....	76
13.	ლარილარის სამაროვნის მძივები .....	78
14.	ლითონის ნაკეთობათა კონსერვაცია .....	80
15.	არქეობოტანიკური მასალის პირველადი შესწავლის შედეგები.....	82
16.	კრემაციული დაკრძალვის წესის სარწმუნოებრივი ასპექტები.....	85
17.	გამოყენებული ლიტერატურა.....	99

# CONTENTS

1.	Foreword.....	8
2.	Svaneti: At the origins of archaeological studies .....	12
3.	Larilari burial.....	18
4.	First cremation platform.....	31
5.	Ceramics.....	32
6.	Weaponry.....	43
7.	Jewelry.....	49
8.	Second cremation platform .....	69
9.	Ceramics.....	71
10.	Weaponry.....	74
11.	Jewelry.....	74
12.	Rings from Larilari burial.....	76
13.	Beads from Larilari burial.....	78
14.	Conservation of metal items .....	80
15.	Results of initial study of archaeobotany material.....	82
16.	Religious Aspects of Cremation Funeral Practice.....	93
17.	Literature.....	99

## წინათქმა

## FOREWORD

თანამედროვე სახელმწიფოთა უმეტესობა მულტი-ეთნიკურ გაერთიანებას წარმოადგენს. მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოც. როგორც ცალკეული ეთნოსის შიგნით, ისე ადამიანთა ინტერ-ეთნიკური მიმართებები განსაზღვრავენ იმ სახელმწიფოს/ქვეყნის ხასიათს – პოლიტიკურ-სამართლებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც არსებობს ესა თუ სახელმწიფო/ქვეყანა როგორც კულტურულ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური წარმონაქმნი. ყოველი სახელმწიფოს/ქვეყნის დღევანდელი სახე განპირობებულია თავისი ისტორიული განვითარებით. ისტორიის ყველა საფეხურზე ცალკეული ერი/ეთნოსი იძენს იმ განსაკუთრებულ თვისებებს, რომლებითაც იგი სხვებისგან განსხვავდება. დროთა განმავლობაში ეს ნიშან-თვისებები იცვლება, თუმცა საბოლოოდ ერი ჩამოყალიბებულ ფორმაში ინარჩუნებს განვლილი ეტაპების მახასიათებლებს თავის კულტურულ მემკვიდრეობაში. იმავე დროს ერთი ერის ფარგლებში ნარჩუნდება მის შემადგენლობაში შემავალი მცირე ეთნოსებისთვის დამახასიათებელი განსხვავებები, რაც ამ ეთნოსებს ერთმანეთისგან კი არ მიჯნავს, პარტიკულარულ ხასიათს კი არ ანიჭებს, არამედ ამ მრავალფეროვნების საფუძველზე იქმნება ერთიანი კულტურა.

საქართველო სწორედ სუბ-ეთნოსური მრავალფეროვნებით გამოირჩეულ სახელმწიფოებს/ქვეყნებს განეკუთვნება. ეს, ერთი მხრივ, მთლიან ეროვნულ ხასიათს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, არც უთხური თავისებურებებია დაკარგული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, თავისი ლანდშაფტიდან გამომდინარე, არაერთგვაროვანი ქვეყანაა, სადაც ერთ მთლიან კულტურას ქმნიდნენ მთისა და ბარის მრავალფეროვანი ეთნოსები. მთისა და ბარის ურთიერთობანი ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ხასიათს განაპირობებდა.

სვანეთი, როგორც მაღალმთიანი კუთხე, თავისი

Most of contemporary countries are multi-ethnic. Georgia is one of them. Within separate ethnoses, people's inter-ethnic relations define the character of the country – political, judicial, economic, cultural principles on which any country is based as a cultural- economic or political entity. Image of any country today is conditioned by its historic development. On each stage of history particular nation/ethnos attains those distinctive traits, which differentiates it from others. In the course of time these characteristic features change, though finally, the nation retains in its cultural consciousness the features of the elapsed stages in the established form. At the same time within one nation, differences attributed to the small ethnoses, which are part of the country, retain. These differences do not mark boundaries among ethnoses, do not give them particular features, but create one joint culture based on diversity.

Georgia falls into the category of countries with sub-ethnos diversity. On the one hand this represents whole national character, and on the other hand, neither local characteristic features have been lost. At the same time it should be noted that due to Georgia's landscape it is not a homogeneous country, where mountainous and valley diverse ethnoses were creating one entire culture. Relations between mountain and valley conditioned economic and political character of the country.

Svaneti as a high mountainous region, based on its economic and cultural possibilities, played an important and exceptional role in the process of establishment of Georgian character.

In Svaneti, as in the whole Georgian territory, archaeological monuments of different periods have been discovered. The oldest (based on current data) samples relate to former settlements of Neolithic period – Lebikvi and Lazga. Their discovery in the basin of upper and lower reach of the rivers Enguri and Tskhenistskali points at existence of ancient settlement (the toponym “Lazga” in Svanetian means “vacant lot”).

ეკონომიკურ-კულტურული შესაძლებლობების საფუძველზე, გარკვეულსა და განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ერთიანი ქართული ხასიათის ჩამოყალიბების პროცესში.

სვანეთში, ისევე როგორც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორის უძველესს (დღეს არსებული მონაცემების საფუძველზე) განეკუთვნება ნეოლითის ხანის ნამოსახლარები – ლებიქეი და ლაზგა. მათი აღმოჩენა მდინარეების – ენგურისა და ცხენისწყლის შუა და ზემო წელის აუზში მიგვანიშნებს ამ ადგილებში უძველესი დასახლების არსებობაზე (თვით ტოპონიმი „ლაზგა“ სვანურში სამოსახლოს ნიშნავს).

ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III-II ათასწლეულიდან), გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით, სვანეთში გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი არტიფაქტები ადასტურებენ ამ ტერიტორიაზე არა მარტო მოსახლეობის უწყვეტ ცხოვრებას, არამედ მთიანი რეგიონის ორგანულ კავშირს საქართველოს სხვა მხარეებთან; კერძოდ, ისტორიულ კოლხეთთან, დღევანდელ რაჭასთან, შიდა ქართლთან და ჩრდილო კავკასიის რეგიონებთან.

სვანეთის არქეოლოგიური შესწავლა, თავდაპირველად, არასისტემურ ხასიათს ატარებდა, რაც საკმარისი არ იყო ძველი კულტურის სრულყოფილი კვლევისათვის. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი გათხრები და სისტემურ კვლევაზე დაფუძნებული კვლევა შოთა ჩართოლანმა დაიწყო. მისი ხელმძღვანელობით სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სადაზვერვო თუ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მდინარეების: ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის ხეობების მაღალმთიანი ზონაში 200-ზე მეტი ძეგლი გამოავლინა. ესენია: სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლარები, სამაროვნები, სამთამადნო თუ მეტალურგიული ობიექტები, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობანი, უძველესი სამიმოსელო გზები. მან აღმოაჩინა და შეისწავლა ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამთამადნო და მეტალურგიული ნარმოების 31 ობი-

Starting from Bronze era (III-II millennia BC), including Middle Ages, artefacts discovered in Svaneti archaeological monuments confirm permanent inhabitancy of not only population, but organic links of the whole region with other regions of Georgia; namely with historic Kolkheti, present Racha, Shida Kartli and regions of north Caucasus.

Archaeological study of Svaneti, initially was not systematic that was not enough for a full-scale research of an ancient culture. Shota Chartolani started planned archaeological excavations based on systemic research in 70s of the XX c. Archaeological expedition under his supervision discovered more than 200 monuments as a result of archaeological research in the high mountainous belt of the rivers Tskhenistskali, Enguri and Kodori gorges. These are: former settlements, burials, mining and metallurgical objects, fortification and cult buildings, ancient roads of different epochs. He discovered and studied 31 mining and metallurgical objects, 15 mines for extraction of copper ore and one - the most important - mining monuments as Zaargashi – excavated material through deep bore tunneling, referring to Bronze and Pre-Iron era.

At the initial stage, archaeological study of Svaneti was problematic as the main part of archaeological artefacts preserved at the Mestia ethnographic museum were discovered accidentally. Despite their actual value, due to their vague means of discovery, they could not create an exact and more or less full and comprehensive picture of Svaneti culture. It was systemic archaeological study that allowed to determine place and purpose of these artefacts in ancient Svanetian/Georgian culture, which on its part, allowed Georgian scholars to fully study and comprehend Svanetian ancient culture in the light of a single context.

In the process of establishment of Georgian National Museum and its reorganization, it became necessary to gather all Svanetian archaeological materials in one place and to optimize archaeological fund-storage at Svaneti Historic and Ethnographic Museum. With this regard from 2006 to 2009 works were performed si-

ექტი, 15 სპილენძის მადნის ამოსაღები მალარო და სამთამადნო წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორცაა ზაარგაშის დახურული ტიპის მალარო (გამონამუშევრები).

სვანეთის არქეოლოგიური შესწავლისათვის, თავდაპირველ ეტაპზე, პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე ის, რომ მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ არქეოლოგიურ არტეფაქტთა ძირითადი ნაწილი შემთხვევითი მონაპოვარი იყო. მიუხედავად მათი თავისთავადი ღირებულებისა, ისინი, შემთხვევით აღმოჩენილობის გამო, ძველი სვანეთის კულტურის ზუსტ და მეტ-ნაკლებად სრულ სურათს ვერ ქმნიდნენ. სწორედ სისტემური არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ამ არტეფაქტთა ადგილისა და დანიშნულების განსაზღვრა ძველ სვანურ/ქართულ კულტურაში, რამაც თავის მხრივ, ერთიანი კონტექსტიდან გამომდინარე, საშუალება მისცა ქართველ მეცნიერებს, უფრო სრულყოფილად შეესწავლათ და გაეაზრებინათ სვანეთის უძველესი ისტორია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაარსებისა და რეორგანიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი გახდა სვანეთის არქეოლოგიური მასალის ერთად თავმოყრა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული არქეოლოგიური ფონდ-საცავის ოპტიმიზაცია. ამასთან დაკავშირებით, 2006 წლიდან 2009 წლამდე მუზეუმსა და მესტიის არქეოლოგიურ ბაზაზე პარალელურ რეჟიმში წარმოებდა სამუშაოები, ერთი მხრივ, მუზეუმის ფონდ-საცავში ექსპონატთა სრული იდენტიფიკაცია და მონაცემთა ბაზის შექმნა, მეორე მხრივ არქეოლოგიურ ბაზაზე დაცული სისტემური არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების (ასევე, თანმხლები დოკუმენტაციის – საინვენტარო დავთრების, საველე დღიურების, რუკების, გრაფიკული ჩანახატების) მონესრიგება, შესწავლა და მომზადება სვანეთის მუზეუმში გადასატანად. სამუშაოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროფესიონალი თანამშრომლები ასრულებდნენ, კერძოდ:

multaneously at the Svaneti Historic and Ethnographic Museum and at Mestia Archaeological Base; on the one hand full identification of exponents kept at Museum fund-storage and creation of data base were carried out, and on the other hand - arrangement and study of artefacts preserved at the Archaeological Base discovered through systemic archaeological research, (including accompanying documents – inventory records, field diaries, maps, graphical sketches) and preparation to move them to the Svaneti Museum. The works were performed by the professional staff members of the Georgian National Museum, namely: L. Pantskhava, M. Tsindeliანი, Z. Tortladze, T. Kakhelishvili, E. Chartolani, M. Chartolani, T. Aghapishvili, N. Tavartkiladze, R. Papuashvili; students: N. Kobalia and S. Papuashvili. For the provided assistance, we would like to thank staff members of Georgian National Treasury, and of Security of the Svaneti Museum, whose support conditioned successful working process.

Artefacts discovered by the archaeological excavations carried out by Sh. Chartolani joined artefacts found accidentally and preserved at archaeological fund-storage of Svaneti Historic and Ethnographic Museum, and their discovery is the achievement of people of different generations, worthy of respect .

**Zizi Tortladze**  
Mestia-Tbilisi  
October 2019



ლ. ფანცხავა, მ. ცინდელიანი, ზ. თორთლაძე, თ. კახელიშვილი, ე. ჩართოლანი, მ. ჩართოლანი, თ. ალაპიშვილი, ნ. თავართქილაძე, რ. პაპუაშვილი; სტუდენტები: ნ. ქობალია და ს. პაპუაშვილი. განეული დახმარებისთვის, აქვე მადლობით მოვიხსენიებთ საქართველოს ეროვნული საგანძურის, სვანეთის მუზეუმის დაცვის თანამშრომლებს, რომელთა მხარდაჭერამ წარმატებული სამუშაო პროცესი განაპირობა.

შოთა ჩართოლანის მიერ ნლების განმავლობაში არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი არტეფაქტები შეუერთდა სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდსაცავში დაცულ შემთხვევით მოპოვებულ არტეფაქტებს, რომელთა მოძიება სხვადასხვა თაობის ღირსეულ ადამიანთა დამსახურებაა.

**ზიზი თორთლაძე**  
მესტია-თბილისი  
2019 წლის ოქტომბერი



ბალთები, ბრინჯაო. დიამეტრი 2 სმ  
Buckles, bronze. Diameter 2 cm



ზიზი თორტლაძე


## სვანეთი: არქეოლოგიური შესწავლის სათავესთან

სვანეთში პირველი არქეოლოგიური „ექსპედიცია“ ისტორიკოსის, არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის – ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება. 1910 წელს მისი ხელმძღვანელობით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ (წევრები: სიმონ კლდიაშვილი (ხუროთმოძღვარი), დიმიტრი ერმაკოვი (ფოტოგრაფი) და ივანე ნიჟარაძე (ენათმეცნიერი, პედაგოგი) ლეჩხუმსა და სვანეთში შეისწავლა ლეჩხუმისა და სვანეთის ქრისტიანული კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი, აღწუსსა ისტორიული ძეგლები და ხელოვნების ნიმუშები, შეაგროვა არქეოლოგიურ-ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები. სიძველეთა შესახებ კვლევა მოკლე აღწერილობის სახით გამოიცა პარიზში [თაყაიშვილი ე. 1937:140-203]. ამ ექსპედიციის ამსახველი ფოტომასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-მონო-ვიდეო კოლექციების არქივში.

Zizi Tortladze



## SVANETI: AT THE ORIGINS OF ARCHAEOLOGICAL RESEARCH

First archaeological “expedition” in Svaneti is related to the name of historian, archaeologist and public person – Ekvtime Takaishvili. In 1910 under his direction the Historic and Ethnographic Society (members: Simon Kldiashvili (architect), Dimitri Yermakov (photographer) and Ivane Nizharadze (linguist and teacher) studied the most part of Christian culture monuments in Lechkhumi and Svaneti, recorded historical monuments and artefacts, collected archaeological, historic and ethnographic materials. The study in the short description form about antiquities was published in Paris in 1937 – “Archaeological expedition in Lechkhum-Svaneti in 1910” [Takaishvili E. 1937:140-203]. The digital copies of the photo-material illustrating the above expedition is preserved in Dimitri Yermakov’s archive at the Georgian National Museum.





ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობა სვანეთში, 1910 წელი. ექსპედიციის წევრები ადგილობრივ მღვდელთან და სვანებთან ერთად. საქართველოს ეროვნული მუზეუმი დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-მონო-ვიდეო კოლექციების არქივი. Ekvtime Takaishvili's archaeological trip to Svaneti, 1910. Expedition members with the local priest and the Svans. Georgian National Museum. Archive of Dmitri Yermakov's photo-mono-video collections



სწორედ ამ პერიოდში მოგროვდა პირველი სამუზეუმო კოლექციები. ექსპედიციამ დიდი რაოდენობით შეიძინა ეკლესიებსა თუ ოჯახებში მიკვლეული არქეოლოგიური ნივთები: ბრინჯაოს ცულები, ქინძისთავეები, ლახტის თავეები და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სვანეთიდან თბილისში ჩამოტანილი ნივთების გარკვეული ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის არქეოლოგიურ ფონდშია დაცული, ზოგიც – სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

შემთხვევით აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ექვთიმე თაყაიშვილს საფუძველი მისცა გამოეთქვა წინასწარი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეკლესიაში შემონახული არქეოლოგიური ნივთები ადგილობრივი ძეგლებიდან მომდინარეობს. მან იმთავითვე განსაზღვრა სვანეთში არქეოლოგიური გათხრების აუცილებლობა და მათი კვლევის მნიშვნელობა არა მარტო კოლხეთის ამ მთიანი რეგიონის, არამედ ძველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.


This was the period when the first museum collections were gathered. The expedition bought quite a number of archaeological items found in churches and families: bronze axes, pins, battle whip-heads, etc. Part of items brought by Ekvtime Takaishvili from Svaneti are preserved at the Simon Janashia archaeological fund of the Georgian National Museum, and some in Svanetian Historical and Ethnographic Museum.

Archaeological items discovered accidentally allowed Ekvtime Takaishvili to express an initial assumption that archaeological items donated to churches are from local monuments. He, from then on, defined the necessity to arrange archaeological excavations in Svaneti and also described the importance of their analysis not only for Kolkheti mountain region but for ancient Georgian cultural heritage.





ფარის გარსაკრავი, ბრინჯაო. დიამეტრი 21 სმ  
Shield cover. Bronze. Diameter 21 cm





## ლარილარის სამაროვანი

სვანეთის არქეოლოგიური ძეგლების სამეცნიერო კომპლექსურ შესწავლას წინ უძღოდა 1950, 1961 წლებში დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციები. სამუშაოები ითვალისწინებდა მოსახლეობაში გაბნეული და ეკლესიებში თავმოყრილი შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრების აღრიცხვას.

1964 წელს სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით (წევრები: შ. ჩართოლანი, ა. კვიციანი და ო. ჩარკვიანი) განახორციელა [გობეჯიშვილი გ., ჩართოლანი შ. 1965: 31-38].

ექსპედიცია მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული კოლექციების კლასიფიკაციისა და პერიოდიზაციის საკითხების შესწავლას და, მეორე მხრივ, შემთხვევით აღმოჩენათა ადგილების ლოკაციასა და ზოგიერთი მათგანის სარეკონსტრუქციო გათხრას. ამ წელს იქნა მიკვლეული ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, რომელსაც ადგილის „ლარილარის“ მიხედვით ლარილარის სამაროვანი ეწოდა (სვანურად „ლარილარი“ პატარა სათიბებს ნიშნავს).

ლარილარის სამაროვანი მდებარეობს ზემო სვანეთში, სოფ. ჭუბერში და განლაგებულია მდ. ენგურის მარცხენა შენაკადის – ნენსკრას (ჭურბულას) მარცხენა ტერასაზე, ზღვის დონიდან 900 მ-ის სიმაღლეზე.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ზედაპირულად ხშირად ვლინდებოდა სამარხებისა და ადამიანის ძვლების ფრაგმენტები, ასევე ლითონის (მათ შორის ოქროს) ნივთები. ყოფილა შემთხვევა „ნიშნებიანი“ (შ. ჩართოლანმა და გ. გობეჯიშვილმა ნარწერად მიიჩნიეს) სამარხის ქვის აღმოჩენისა, რომელიც იქვე მაცხოვრებელს სახლის კედელში ჩაუშენებია.

ექსპედიციამ აღნიშნულ ტერიტორიაზე საცდელი ჭრილების გაკვლევისას დაზიანებული და გაძარცვ-

## LARILARI BURIAL

Scientific complex studies of Svaneti archaeological monuments in 1950, 1961 were preceded by some reconnaissance expeditions. These expedition works envisaged listing all accidental archaeological findings collected in churches and dispersed within population.

Iv. Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography under the direction of archaeologist Germane Gobejishvili (members: Sh. Chartolani, A. Kvitsiani and O. Charkviani) carried out archaeological reconnaissance expedition in Svaneti in 1964 [Gobejishvili G., Chartolani Sh. 1965: 31-38].

The goal of the expedition on the one hand was study of issues of classification and periodization of collections preserved at Mestia museum of local history, and on the other hand, location of accidental findings and reconnaissance excavations of some of them. That year a burial of pre-antique era was tracked down. This place was named Larilari burial according to its location name - "Larilari" (In Svan language Larilari means small hay meadow).

Larilari burial is located in Zemo Svaneti (Upper Svaneti), in Chuberi village and is situated on the left tributary of the river Enguri – on the left terrace of Nenskra (Churbutla), on 900 m. from the sea level.

According to the information from local population burials and fragments of human bones as well as metal (among them golden) items are often found on the surface on the above mentioned territory. There were instances when burial stones with "marks" (Sh. Chartolani and G. Gobejishvili regarded these marks as inscriptions) were found built in house walls by a habitants. While making testing incisions on the above territory expedition discovered damaged and robbed burials and remains of different artefacts. Along the perimeter of 5 ditches, which covers 25 m<sup>2</sup> area and is 0,3 m in depth, 0,25-0,65 m ash layer was discovered. The discovered material – ash, coal, remains of metal turned into slag, fragments of burnt human bones, metal drippings

ლი სამარხებისა და სხვადასხვა არტიფაქტთა ნაშთები დააფიქსირა. N5 თხრილის პერიმეტრზე, რომელიც 25 მ<sup>2</sup> მიწის ფართობს მოიცავს და სიღრმე ერთი მეტრია, ზედაპირიდან 0,3 მ-ის სიღრმეზე 0,25-0,65 მ-ის სიძლიერის ნაცროვანი ფენა აღმოჩნდა. გამოვლენილი მასალა – ნაცარი, ნახშირი, ნიღად ქცეული ლითონის ნაშთები, ადამიანის დამწვარი ძვლების ფრაგმენტები, შედუღებულ მასად ქცეული ლითონის ნალვენტები, ძვლებისა და ქვის კონგლომერატები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, ქსოვილის (შალის) ფრაგმენტი და სხვადასხვა მასალისგან დაზიანებული მძივები – ძლიერი ცეცხლის კვალს ატარებდა. ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ ლარილარის არქეოლოგიური ძეგლი საკრემაციო მოედანია.

ლარილარის სამაროვანზე მცირემასშტაბიანი გათხრები 1965 და 1967 წლებშიც ჩატარდა, თუმცა ძეგლის სტრუქტურის, კულტურული ფენების სიძლიერისა და მათი გავრცელების მასშტაბების დადგენა ამ წლებში სრულყოფილად ვერ მოხერხდა.

სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები 1980 წელს განახლდა. სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, შოთა ჩართოლანის ხელმძღვანელობით, ამ წელსვე სრულად განსაზღვრა კრემაციული მოედნის ძირითადი ტერიტორია და აღმოსავლეთით, საკონტროლო ჭრილების გავლებისას, 8 მეტრის დაშორებით, მეორე კრემაციული მოედანი აღმოაჩინა.

პირველი კრემაციული მოედნის საერთო ფართობი 256 მ<sup>2</sup>-ია. მოედნის ზედა ფენა, რომელიც უშუალოდ ჰუმუსშია განლაგებული, უსისტემოდ დაყრილი საშუალო ზომის ქვებისგან შედგება, სიღრმეში მათ დიდი ზომის რიყის ქვები ენაცვლება. თხრილი, რომელსაც SN-ის მიმართულება აქვს, სამაროვნის გენერალურ გეგმაზე მოცემულია ნიშნებით A,B,C,D; EW-ის ლერძი აღნიშნულია ციფრებით – 1,2,3,4; კვადრატების ზომა 4:4 მ-ია (16 კვ. მ.).

პირველ კრემაციულ მოედანზე ქრონოლოგიურად თანადროული და სტრუქტურულად ერთმა-

turned into welded mass, conglomerates of bones and stones, fragments of clayware, bronze and iron items, fragments of cloth (woolen) and bead necklaces made of different materials – wore trace of fire. Carried out archaeological works showed that Larilari archaeological monument is a cremation platform.


Small scale excavations in Larilari burial were carried out in 1965 and 1967, but thickness of structure, cultural layers of the monuments and their dispersal scale was not fully determined in these years.

Archeological works on the burials were renewed in 1980. Archaeological expedition in Svaneti under the direction of Shota Chartolani fully determined main territory of the cremation platform and while making control incisions in the east, in the distance of 8 m., discovered another cremation platform.

Common area of the first cremation platform is 256 m<sup>2</sup>. The upper layer of the platform, which is located on the spot in the humus, consists of medium-sized stones, in the depth they are replaced by big-size cobblestones. The ditch which has direction of SN, on the burial master plan is marked as A, B, C, D; EW axis is marked by figures 1,2,3,4; size of sections is 4:4 m. (16 sq.m.) (Taf.).

On the first cremation platform chronologically synchronic and structurally different 4 layers were discovered. Under the humus, on the north and east sections, in the stone layer black humus with small stones layer was found, where fire trace can be observed, though there was no sign of ash. This layer contained A-1,2,3; B-1,2,3,4; D -1,2 sections. In the south-east section, on the boundaries of C-1,2 sections and in D-1,2 sections this layer connects with the second main layer, which contains bone material in significant quantity, small stones and insignificant quantity of ash. This second layer, which excavators named as bony layer, covers mainly central south and west sections, namely in A-4, B-2, B-3, B-4, C-2, C-3, C-4, D-2, D-3, D-4 sections [Chartolani Sh., Tabueva E., 1984: 38-46. Taf. L].

The bony layer contains heavily frangmented bones in big quantities, and most of them bear trace of fire. Anal-



ლარილარის სამაროვნის გენერალური გეგმა  
Larilari burial general plan

ნეთისგან განსხვავებული 4 ფენა დაფიქსირდა. კუმუსის ქვეშ ჩრდილო და აღმოსავლეთ მონაკვეთებში, ქვის ფენაში გამოვლინდა შენაცროვანი წერილი ქვის ფენა, სადაც ცეცხლის კვალს ედევნება თვალი, მაგრამ ნახშირის ნაშთები არ აღმოჩნდა. ეს ფენა მოიცავდა A-1,2,3; B-1,2,3,4; D-1,2 კვადრატებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში C-1,2 კვადრატების მიჯნაზე და D-1,2 კვადრატებში ეს ფენა უერთდება მეორე ძირითად ფენას, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ძვლოვან მასალას, წერილ ქვასა და უმნიშვნელო რაოდენობის ნახშირს. ეს მეორე ფენა, რომელსაც გამოხრელებმა ძვლოვანი ფენა უწოდეს, ძირითადად ვრცელდებოდა ცენტრალურ სამხრეთ და დასავლეთ მონაკვეთებში, კერძოდ, A-4, B-2, B-3, B-4, C-2, C-3, C-4, D-2, D-3, D-4 კვადრატებში [Чартолани Ш. Г., Табуева Е. Г., 1984: 41-46. Таб. L].

ძვლოვანი ფენა შეიცავს დიდი რაოდენობით ძლიერ ფრაგმენტირებულ ძვლებს, რომელთა უმრავლესობას ცეცხლის კვალი ეტყობა. ძვლოვანი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა შინაური ცხოველების ძვლებიც.

კრემაციული მოედნის ცენტრალურ ნაწილში მეორე ფენა უშუალოდ იდო მოყავისფრო-ნაცროვან ფენაზე, რომელიც კრემაციული მოედნის დანარჩენ მონაკვეთებში არ ვრცელდებოდა. თავის მხრივ, ამ ნაცროვანი ფენის ქვეშ დაფიქსირდა შენახშიროვანი ფენა. ეს ფენა გამოსახულია ქვეთისგან შექმნილი ჩალრმავებული ადგილებით, რომელთა შორის შეიმჩნეოდა შავი გადამწვარი მიწა; მოყავისფრო-ნაცროვან ფენაში ძვლოვანი ფენის ჩალრმავებებს პირობითად „ბუდეები“ ეწოდათ. მათში არათანაბარი რაოდენობით განაწილებული იყო ლითონის ნივთები. ქვების რაოდენობა სამხრეთ ნაწილში იკლებს. ამ და დასავლეთ მონაკვეთებში ძვლოვანი ფენის ქვეშ თიხატკეპნილი მიწა დადასტურდა. მსგავსი მიწა ნახშიროვანი ფენის ქვეშაც გამოვლინდა.

რაც შეეხებათ არტიფაქტებს, მათ სხვადასხვა რაოდენობით ყველა ფენაში ვხვდებით. განსაკუთრე-

ysis of bone material showed that together with human bones, animal bones were also discovered.

In the central part of the cremation platform, second layer was laid on the brownish-ashy layer, which was not stretched on the rest of the cremation platform. On its part, under the brownish-ashy layer black coal layer was found. This layer is presented in cavities created out of stones, where within these cavities black burnt soil is seen; Bony layer cavities within brownish-ashy layer were provisionally called "nests". Metal items were distributed among these "nests" in unequal quantities. Number of stones in southern part decreases. In this and western sections, under the bony layer beaten-clay soil is confirmed. Similar soil was disclosed under the coal layer.

As of the artefacts, we come across them in all layers in different quantities. Especially diverse and heavily fragmented pieces of clayware were discovered during cleaning of stone embankment and humus layer. In this layer grindstones and iron segments were disclosed.

Black coal layer is distinguished with material abundance. Together with pottery fragments and beads, bronze temple rings, fibulas, bracelets, buttons, so called clasps, bails with zoomorphic images, hooks, coils, thin chains, bells; iron items are represented by knives and their fragments, rings, arrowheads, iron and bronze nails; sometimes we come across grindstones.

There are numerous similar artefacts in bony layers, though beads and bells are prevailing in this layer compared to others.


The least number of materials were found in brownish-ashy layer. Similar situation is in humus.

Altogether, artefacts of the first cremation platform are distinguished by their particular diversity. From the bronze items this layer revealed pendants, sculpture images of animals and birds, buckles decorated with different ornaments, rings- intaglios, bracelets and fibulas. There are many bronze bells, thin chains, coils, pincers, and others. From iron items fragments of spearheads, arrowheads, knives, daggers, axes, iron and bronze nails and different segments were discovered. Some parts




ნიდად ქცეული ლითონის ნაშთები, ლითონის ნალევენთები,  
ნახშირი, ძელისა და ქვის კონგლომერატები  
Metal remains turned to slag, metal drippings, coal,  
conglomerates of bone and stone





სამაჯურზე შემორჩენილი დამწვარი ქსოვილი  
Burnt fabric remains of the bracelet



დამწვარი ქსოვილის ნაფლეთი  
Burnt shred of fabric





დამწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები  
ძვლების ნაშთებთან ერთად  
Burnt pottery fragments with bone remains



ბით, მრავალრიცხოვანი და ძლიერ ფრაგმენტირებული თიხის ჭურჭლის ნატეხები ქვაყრილისა და ჰუმუსური ფენის განმენდისას აღმოჩნდა. ამავე ფენაში გამოვლინდა სალესი ქვები და რკინის სეგმენტები.

მასალის სიმრავლით შვენახშიროვანი ფენა გამოირჩევა. თიხის ნატეხებსა და მძივებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ფიბულები, სამაჯურები, ღილები, ე. წ. ბალთები, ზოომორფულ-გამოსახულებიანი საკიდები, დუგმები, ხვიები, ძეწკვები, ზარაკები; რკინის ნივთები წარმოდგენილია დანებითა და მათი ფრაგმენტებით, ბეჭდებით, ისრისპირებით, რკინისა და ბრინჯაოს ლურსმნებით. გვხვდება ქვის სალესებიც.

მსგავსი არტეფაქტები უხვადაა ძელოვან ფენაშიც, თუმცა მძივები და ზარაკები ამ ფენაში სხვა ფენებთან შედარებით ყველაზე მეტია. ყველაზე მცირე რაოდენობის მასალა დაფიქსირდა მოყავისფრო-ნაცროვან ფენაში. მცირეა მისი რაოდენობა, შვენადაგვიან მიწაშიც.

მთლიანობაში, პირველი კრემაციული მოედნის არტეფაქტები გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული მრავალფეროვნებით. ბრინჯაოს ნივთებიდან ამ ფენაშია აღმოჩენილი საკიდები, ცხოველების და ფრინველების სკულპტურულ-გამოსახულებები, სხვადასხვა ორნამენტული სახეებით შემკული ბალთები, ბეჭდები-ინტალიოები, სამაჯურები და ფიბულები. დიდი რაოდენობითაა ბრინჯაოს ზარაკები, ძეწკვები, ხვიები, პინცეტები და სხვა. რკინის ნივთებიდან აღმოჩნდა შუბისპირების, ისრისპირების ფრაგმენტები, დანები, სატევრები, ცულები, რკინისა და ბრინჯაოს ლურსმნები და სხვადასხვა სეგმენტი. ჩამოთვლილი ნივთების გარკვეული ნაწილი ძლიერ ფრაგმენტირებულია. პირველ კრემაციულ მოედანს შოთა ჩართოლანი ძვ. წ. VI-IV სს-ით ათარილებს [ჩართოლანი შ. 1996: 144].

მეორე კრემაციული მოედანი მოიცავს 244 მ<sup>2</sup>-ს. ქრონოლოგიური და სტრუქტურული თვალსაზრისით, ასევე, დაკრძალვის წესის ნიუანსებით ეს

of the listed above items are heavily fragmented. Shota Chartolani dates the first cremation platform as VI-IV cc. BC [Chartolani Sh. 1996: 144].

Second cremation platform covers 244 m<sup>2</sup>. From the chronological and structural point of view and also considering one nuance of funeral rite, this platform is somewhat different from the first one.

The main part of the platform territory is covered with medium size stones scattered unsystematically. In the incisions only two main layers were revealed: bony and humus, black coal soil was not found. Layers thickness, compared with the first platform layers is relatively weak. Their confluence and linkage is more accidental and is conditioned by its peripheral disposition. Black layer was found in the eastern part of the ditch, and bony - in the western part. Items were found in relative quantities in the bony part, beads prevail.

Materials discovered in the second cremation platform are heavily fragmented and compared to the artefacts from the first platform are not distinguished by its artistic value and diversity. Namely, we have only one bail with sculpture image, very fragmented, there are almost no fibulas, bracelets are simple and homogeneous, there are no ornamented buckles. Among items rings are distinguished, with different intaglios. From iron items we come across arrowheads, small size bronze bells prevail. Glass beads are polychromic and are decorated differently.

Generally, artefacts discovered on both platforms in similar layers are analogous, through Shota Chartolani after studying them typologically and chronologically, dated the second cremation platform by end of V c. and end of III c. [Chartolani Sh. 1996: 144].

In the point of view of excavators, bony layer represents so called ritualistic layer, which was formed as a result of either pre-cremation or after cremation processes. A significant number of beads, tiny bells, flakes of flint, and obsidian revealed in the described layer, makes impression that some type of a rituals were taking place there.

Reconnaissance activities in Larilari burial and scientific

მოედანი პირველისგან რამდენადმე განსხვავებულია.

მოედნის ძირითადი ტერიტორია უსისტემოდ დაყრილი საშუალო ზომის ქვებითაა დაფარული. ქრისტეში, მხოლოდ ორი ძირითადი ფენა გამოვლინდა: ძვლოვანი და შავნიადაგიანი, შავნახშიროვანი – არ გვხვდება. ფენების სიმძლავრე, პირველი მოედნის ფენებთან შედარებით, სუსტია. მათი შერწყმა-დაკავშირება უფრო შემთხვევითია და განპირობებული – პერიფერიული განლაგებით. შავი ფენა დაფიქსირდა თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, ძვლოვანი – დასავლეთში. ინვენტარი მეტ-ნაკლები რაოდენობით ძვლოვან ფენაში აღმოჩნდა, ჭარბობს მძივები.

მეორე კრემაციულ მოედანზე აღმოჩენილი მასალა ძლიერ ფრაგმენტირებულია და, პირველი მოედნის არტეფაქტებისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირებულებითა და მრავალფეროვნებით. კერძოდ, გვაქვს მხოლოდ ერთი სკულპტურულ-გამოსახულებიანი საკიდი, ისიც ძლიერ ფრაგმენტირებული, თითქმის არ გვხვდება ფიბულები, სამაჯურები სადა და ერთგვაროვანია, არა გვაქვს ორნამენტირებული ბალები. ინვენტარს შორის გამოირჩევა ბეჭდები, რომელთა ფარაკზე სხვადასხვა გამოსახულებაა ამოტიფრული. რკინის ნივთებიდან გვხვდება ისრისპირები, ჭარბობს ბრინჯაოს მცირე ზომის ზარაკები. მინის მძივები პოლიქრომულია და შემკულია სხვადასხვა ორნამენტული სახით.

ზოგადად, ერთნაირ ფენაში აღმოჩენილი არტეფაქტები ორივე მოედანზე ანალოგიურია, თუმცა მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური შესწავლის შედეგად შოთა ჩართოლანმა მეორე კრემაციული მოედანი ძვ. წ. V ს-ის ბოლო და III ს-ის დასასრულით დაათარილა [ჩართოლანი შ. 1996:144].

გამთხრელთა ვარაუდით, ძვლოვანი ფენა წარმოადგენს ე. წ. რიტუალურ ფენას, რომელიც წინაკრემაციული ან კრემაციის შემდგომი პროცესების შედეგად წარმოიქმნა. აღნიშნულ ფენაში გამოვლენილი დიდი რაოდენობის მძივები, მინიატურუ-



ძვლის ფრაგმენტი დაღვენთილი მძივების ნაშთით  
Bone fragment with remains of dripping beads

ლი ზარაკები, ასევე კაუის ანატკეცები და ობსიდიანი გარკვეული სახის რიტუალი შესრულების შთაბეჭდილებას ქმნის.

ლარილარის სამაროვნის საძიებო სამუშაოებისა და შოთა ჩართოლანის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი დასკვნის გამოტანა:



ლარილარის სამაროვანზე გათხრილი ორი საკრემაციო მოედანი ერთი ტიპისაა. მათ მოსაწყობად ადგილი საგანგებოდაა შერჩეული და ბრტყელი ქვებითა და თიხატკეპნილით არის მოსწორებული. ზოგ ადგილას მოედანი შემორაგულია დამატებითი ქვებით. ადამიანის ძვლებთან ერთად აღმოჩენილი ცხოველთა ძვლების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, საგანგებოდ დამსხვრეული დიდი რაოდენობის თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა დანიშნულების რკინისა და ბრინჯაოს ნივთები მონმოებენ, რომ „საკულტო“ მოედნებზე ალაპი და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალები სრულდებოდა. ადამიანთა ძვლები, რომელთაც ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობათ, მიუთითებენ ნანილობრივ კრემაციასა და სარიტუალო ცეცხლის გამოყენებით ე. წ. მეორადი დაკრძალვის წესზე. ხანგრძლივი დროის მანძილზე მიცვალებულთა დანვისა და თანმხლები რიტუალის შესრულების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენების სტრატეგრაფიული თანმიმდევრობაც ორივე მოედანზე თითქმის ანალოგიურია. თუმცა

research carried out by Shota Chartolani can be summarized as follows:

Two cremation platforms excavated in the Larilari burial are of similar type. Their location was chosen specially and leveled by flat stones and beaten-clay soil. In some places the platform is fenced by additional stones. Discovered numerous fragments of animal bones together with human bones, huge amount of smashed to smithereens clayware and iron and bronze items for different purposes indicate that rituals related to dead cult and funeral feast and prayers were carried out on the “cult” platforms. Human bones, which have strong fire traces, point at partial cremation and so called secondary funerals by using sacril fire. During significant period of time, stratigraphic consequence of cultural layers created as a result of cremating the dead and performing accompanying rituals, is almost analogous on both platforms. Nevertheless, some differences can be identified with regard to thickness of cultural layers, and area of distribution, which is demonstrated by different composition of layers in the incisions.

Future field studies as well as typological and chronological examination of artefacts discovered up to date at Larilari archaeological monument will bring more clarity in identifying monument character, its structure, determining funeral rites and other issues.


ნიმუშები პირველი კრემაციული მოედნის სხვადასხვა ფენიდან  
Samples from different layers of the first cremation platform



მოყავისფრო-ნაცროვანი ფენა  
Brownish-ashy layer

კულტურული ფენების სიმძლავრით, გავრცელების ფართობით მათ შორის განსხვავებაც შეინიშნება, რაც გამოიხატება ქრილებში წარმოდგენილი ფენების სხვადასხვა რაოდენობითა და შემადგენლობით.

ლარილარის არქეოლოგიური ძეგლის სამომავლო საველე თუ დღემდე აღმოჩენილ არტეფაქტთა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევები მეტ სიზუსტეს შეიტანს ძეგლის ხასიათის, მისი სტრუქტურის, მიცვალებულთა დაკრძალვის წესის დადგენასა თუ სხვა საკითხთა შესწავლაში.



ძვლები მეორე კრემაციული მოედნიდან  
Bones from the second cremation platform



ქვები ზედა ფენიდან. პირველი კრემაციული მოედანი  
Stones from the upper layer. First cremation platform




ძვლოვანი ფენა. პირველი კრემაციული მოედანი  
Bony layer. First cremation platform



ნახშიროვანი ფენა  
Ashy layer



შავნაცროვანი ფენა  
Black ash layer



ძელოვანი ფენის ე.წ. „ბუდეები“  
So called "Nests" from the bony layer

# პირველი კრემაციული მოედანი FIRST CREMATION PLATFORM

**ლ**არილარის განათხარი მასალიდან გამოიყოფა ნივთების სამი ძირითადი ჯგუფი:

- კერამიკული ნაწარმი
- იარაღ-საჭურველი და
- სამკაული.

**F**rom the materials excavated in Larilari three main groups of items can be classified:

- Ceramics
- Weaponry
- Jewelry



თიხის ქურჭლის ზოომორფულგამოსახულებიანი ყურის ფრაგმენტი. 3,2x2,4  
Fragment of a handle of clayware with zoomorphic images. 3,2x2,4 cm

## კერამიკა

სამაროვანზე მოპოვებული მასალის მრავალრიცხოვან ნაწილს კერამიკა წარმოადგენს. სხვადასხვა ელფერის შავად ან წითლად გამომწვარი და ლეგა-ნაცრისფერზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატყებებს ძლიერი თერმული ზემოქმედების კვალი ეტყობათ. ისინი იმდენადაა დამსხვრეული, რომ რესტავრაცია შეუძლებელია. თუმცა შედარებით უკეთ გადარჩენილი ნაწილების მეშვეობით მოხდა ფორმების მიხედვით მათი კლასიფიკაცია, განისაზღვრა დამზადების ტექნიკა, იკითხება ორნემენტული სახეები.

კერამიკა ხასიათდება ფუნქციურად და ტიპოლოგიურად საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით, ორნამენტითა და ყურების სხვადასხვაგვარობით. გვხვდება, როგორც მრავალფეროვანი სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, ასევე სქელკედლიანი სამეურნეო დერგები და დოქები, თხელკედლიანი ქოთნები, კოჭობები, ტოლჩები, ჯამები და სასმისები. ჭურჭლის უმეტესი ნაწილი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქარსისა და სილანარევი თიხისაგან. ისინი მორგეზუა ნაკეთები. შავპირიანზედაპირიანი ჭურჭელი, რომელიც იშვიათად გვხვდება, ხელითაა ნაძერნი.

თიხის ჭურჭლის პირები გადაშლილი ან ბაკოდებრტყელებულია. მათი გვირგვინი კარგადაა პროფილირებული და ორნამენტირებული.

ზოგიერთი ნაკეთობა უყუროა, ზოგსაც ბრტყელი და სადა ყური ჰქონია. ზოგადად, თიხის ჭურჭლის ყური მრავალსახიანია. გვაქვს როგორც შვერილი ფორმის ყური, ასევე - ზოომორფული ნიმუშები ცხოველთა სკულპტურულგამოსახულებებიანი. განსაკუთრებით საინტერესოა ყური, რომლებზედაც გველის რელიეფური გამოსახულებაა დატანილი.

თიხის ჭურჭლები, კედლის ფრაგმენტების მიხედვით, შემკულია სხვადასხვა ორნამენტული სახით. გვხვდება რელიეფური, ნაკანრი, ნაჭდევი და შერეული მოტივები, ირიბი და მრგვალი ჭდეები, წიწვი-

## Ceramics

Ceramics is the major part of materials found in the burial. The fragments of clayware, which have different color tones - scorched in black and red and some having gray surface, have a strong trace of solid thermal exposure. They are so strongly smashed to smithereens that their restoration is impossible, though with relatively saved fragments it became possible to classify them, identify production technique and read the ornaments.

Ceramics is functionally and typologically characterized with diverse forms, ornaments and different types of lugs. We come across different kitchenware and table crockeries, also thick-walled large pitcher-shaped jars and clay pitchers, thin-walled pots, small cooking-pots, jugs, bowls, drinking vessels. Most part of the crockery is made of coarse-grained mica and clay mixed with sand. They are made on the block of wood. Dishes of black sparkling surface, that we rarely come across, are molded by hand.

Pottery brims are either open or flattened. Their top sides are well profiled and ornamented.

Some pieces of work do not have handles, and some have flat and simple handles. Generally pottery handles vary. We come across stretched out handles, and also zoomorphic samples with animal sculptures. Especially interesting are handles, which have snake relief images put in.

Pottery, according to their wall fragments are decorated with various ornaments. We come across relief, scratched and mixed motifs, diagonal and round notches, coniferous form lines and other.

Bottoms of the pottery are mainly of the flat form, one of them have four round feet.


Together with local ceramics, on the first cremation platform, in the upper ashen and bony level even import was confirmed, namely, a few fragments of ceramics with black laquer: bottom of a covered dish, Kantharos handle and a fragment of a body of the item. The fragment of the

სებური შტრიხები და სხვ.

თიხის ჭურჭლის ძირები, ძირითადად, ბრტყელი ფორმისაა, ერთ-ერთზე ოთხი კოპია გამოსახული. ადგილობრივ კერამიკასთან ერთად, პირველ კრემაციულ მოედანზე, ნაცროვან-ძვლოვანი ფენის ზედა დონეზე დადასტურებულია იმპორტიც, კერძოდ, შავლაკიანი კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი: დახურული ჭურჭლის ძირი, კანთაროსის ყური და კედლის ნატეხი. კედლის ნატეხი, რომელსაც გარეთა ზედაპირზე შემოუყვება მაღალი, რელიეფური ნიბო, ზედა - შორიზონტალური და ქვედა - დაქანებული ნაწილებით. ნატეხის ორივე ზედაპირი დაფარულია შავი ლითონისებრი მზინვარე ლაკით. კარგად გამომწვარი ნატეხი სუფთა წვრილმარცვლოვანი თიხისგანაა ნაძერწი, ხოლო



### შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები



body of the item, which has high and embossed neck, upper – with horizontal and lower – with inclined parts. Both surfaces of the fragment are covered with black, steel-like laquer. Very well fired fragment is molded out of pure, fine-grained clay and the internal side is of cameo pink color. The rest of the fragments are covered with reddish-brown and chestnut colored laquer of a low quality. The fragments have remained from different crockery of antique production. Shota Chartolani dates them by end of IV c. and beginning of III c. BC.

In excavated material metallurgy tools were found - bellows for blowing air, pipes and plaster.

შიდა პირი მოვარდისფროა. დანარჩენ ნატეხებს გარედან წასმული აქვს მურა-წაბლისფერი მდარე ხარისხის ლაკი. ფრაგმენტები შემორჩენილია ატიკური წარმოების სხვადასხვა ჭურჭლიდან. შოთა ჩართოლანი მათ IV ს-ის დასასრულით და III ს-ის დასაწყისით ათარილებს.

განათხარ მასალაში აღმოჩენილი საბერველის საქშენი მილისა და ბათქაშის რამდენიმე ნატეხი მეტალურგიასთანაა დაკავშირებული.








თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტები  
Ceramic pottery fragments














თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები  
Ceramic pottery handles fragments





თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები  
Pottery walls fragments



თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები  
Pottery bottoms fragments



# იარაღ-საჭურჭელი WEAPONRY



ქარქაშის ბუნეი, ბრინჯაო. 7,7x3,2 სმ  
Plug of a scabbard, bronze. 7,7x3,2 cm

## იარაღ-საჭურველი

ლოთონის ნაკეთობათა უმეტესი ნაწილი დამსხვრეული და დეფორმირებულია. რკინისგან დამზადებული ნივთები წარმოდგენილია ფრაგმენტირებული შუბისპირებით, ისრისპირებით, სატევრებით, ცულეებით, სატეხებით, მთლიანი და დამტვრეული დანებით, ორნაწილიანი ლაგმებით, სამთითა ჩანგლით; ჭარბობს რკინისა და ბრინჯაოს ლურსმნები.

ცულეებიდან გამოირჩევა ოთხნახნავა და ყუაკვერინი ფორმები; დანის პირებიდან - სწორი და მოხრილი ნიმუშები; ერთ-ერთი მასრიანი შუბისპირი მხრებდაქანებული და ვინროპირიანია. რკინის დანანევრებული ნატეხები მიგვანიშნებენ სხვა ფორმის შუბისპირებზეც, კერძოდ, ფართოპირიანსა და მკვეთრქედიანზე.

სამაროვანზე ბრინჯაოს იარაღი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ბრინჯაოს ისრისპირებიდან ერთი მასრიანია, მეორე კი ბრტყელი ფირფიტისგანაა დამზადებული. გვაქვს კაჟის ისრისპირის ქუსლამოლარული ნიმუშიც და შავი ობსიდიანის დანის ნატეხი. ბრინჯაოს პინცეტები სხვადასხვა ორნემენტული სახითაა გაფორმებული.

ამ ჯგუფშია გაერთიანებული ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ქარქაშის ბუნიკი, რომელიც სქემატურად ცხოველის თავსა და კისერს გამოსახავს, მისი ზედაპირი რელიეფური ორნამენტითაა შემკული. ანალოგიური ორნამენტი გვხვდება ქარქაშის გარსაკრავზე, მისგან მცირე ფრაგმენტი შემორჩენილი. ბრინჯაოსგანაა დამზადებული ფარის გარსაკრავი, რომლის გადაარჩენილი ნაწილი, ასევე, ორნამენტული სახითაა დაფარული.

სამაროვის კრემაციულ ფენებში დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ქვის სალესები. ისინი სხვადასხვა მოყვანილობის და ფორმისაა: ოვალური, დაბრტყელებული, ოთხნახნავა და სხვ. მათ თავზე ნახვრეტი აქვთ და ხშირი ხმარების კვალიც ეტყობათ. ზოგიერთზე მომწვანო-ფირუზისფერის კვალც შეიმჩნევა.

მცირე ზომის მასალაში გვაქვს ძვლის კვირისთავები, ობსიდიანისა და კაჟის ანატეკეცები.

იარაღ-საჭურველის კომპლექსთან ერთად, ელაგა მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს სამკაული, როგორცაა: ბრტყელი და მასიური სამაჯურები ფიბულები, მცირე ზომის ბალთები, დოლისებრი საკიდები.

## Weaponry

Most parts of metal items are smashed to smithereens and deformed. Discovered iron items are: fragmented spearheads, arrowheads, daggers, axes, quarries, unbroken and broken knives, two-part bridles, three-pronged forks; iron and bronze nails prevail.

Axes are distinguished by their four-faceted and round forms. From knife blades – straight and bended samples; one of the spearhead is bended and has a narrow blade. Some fragmented iron samples indicate existence of spearheads of other forms – with wide blade and others.

Bronze weaponry in the burials are presented in small quantities. From Bronze arrowheads one has a protecting cover and the second is made of a flat bronze sheet. We came across a sample of a heel grooved flint arrowhead and a piece of black obsidian knife. Bronze pincers are decorated with different ornaments.

Top of the scabbard is bronze casted, with animal head and neck on it, and its surface is decorated with ornaments. Similar ornaments are on the scabbard top, its small fragment has remained. Shield top is also made of bronze, and its saved part is covered with ornaments.

In the cremation layers of the burial many grindstones were found. They are of various forms: oval, flat, four-faceted, etc. They have holes on the top and also trace of frequent use. On some of them greenish-turquoise trace can be noticed. In the small size materials we have bone spindles, obsidian and flint smithereens.

Together with weaponry, there were a lot of pieces of jewelry, like: flat and massive bracelets, fibulas, small size buckles, drum-like pendants.











ქვის სალესები, ფრაგმენტები  
Grind Stones, Fragments



კაფის ისრისპირი  
Flint arrowhead



კაფისა და ობსიდიანის ნატეხები  
Flint and obsidian smythereens



## სამკაული

ლარილარის სამაროვანზე სამკაულის სახით მხატვრული ხელოსნობის მრავალფეროვანი ნიმუშებია წარმოდგენილი. ისინი, ძირითადად, ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ამ ჯგუფში გამოიყოფა: სამკაულ/სამშვენისები, სამოსელთან დაკავშირებული და რიტუალური დანიშნულების ნივთები.

გლიპტიკური ნიმუშები არა მარტო რიცხობრივად მდიდარია, არამედ - მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი თავისი ხასიათით. ეს არის საბეჭდავი-ბეჭდების ის ტიპები, რომელთაც სამკაულადაც იყენებდნენ. ისინი სხვადასხვა ფორმის, განსხვავებული შინაარსის და სტილისაა. ბრინჯაოსა და რკინის ბეჭდებს შორის გამოიყოფა, როგორც ლითონის მასიური ნიმუშები, ასევე - რკალგახსნილი და რკალშეკრული ფარაკიანი ბეჭდები. ფარაკების მოყვანილობა განსხვავებულია. გვხვდება როგორც მრგვალი და ამობურცული, ასევე ოვალური და ბრტყელი ფორმები.

განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშებია მეორე კრემაციულ მოედანზე აღმოჩენილი ბეჭდები-ინტალიოები. მათი მოყვანილობაც სხვადასხვაგვარია. ზოგიერთის რკალი შეკრულია, ზოგიც რკალგახსნილია ანდა ზოგჯერ პირი-პირზე აქვს გადასული. მათი ფარაკები მთლიანადაა შევსებული სხვადასხვა გამოსახულებითა და სიუჟეტური ხასიათის სცენით. მხატვრული ოსტატობით ამოჭრილი ცხოველებისა და ფრინველების სახეებთან ერთად, მითოლოგიურ პერსონაჟსაც ვხვდებით, კერძოდ - ღვთაება ტიხე-ფორტუნას გამოსახულებას. გვაქვს მცენარეული მოტივიც. ინტალიოები შესრულების ტექნიკით გამოირჩევა, ზოგიერთ ნიმუშზე ოსტატის მიერ უაღრესად ფაქიზი ხერხია გამოყენებული პლასტიკური ფორმების გადმოსაცემად.

ბრინჯაოს სამაჯურები სხვადასხვა ფორმისაა. გვხვდება როგორც მრგვალგანიკვეთიანი, ასე-

## Jewelry

In Larilari burial diverse samples of jewelry of artistic craftsmanship were discovered. Most of them are made of bronze. In this group jewelry, clothing and ritual related items can be picked out.

Numerous glyptic samples are important and diverse. These are types of signet rings, which could be used as jewelry. They are of different forms, different content and style. Among bronze and iron rings metal massive samples can be identified as well as open and close circle signet engraved rings. Signet engraved rings have different forms – round, dome-like, oval and flat forms.

Especially interesting samples of intaglio-rings were discovered in the second cremation platform. Their forms also differ. Some circles are closed, some – open and sometimes circle edges are placed over each other. Their intaglio surfaces are filled with different images scenes with different plots. Together with skillfully engraved animals there are bird images; in some samples extremely refined craftsmanship is used to convey plastic forms. Alongside with engraved images of animals and birds we come across mythological figures, namely the image of Deity – Goddess Tyche-Fortune. We also come across floral motifs.

Bronze bracelets are of different forms – of round cross-section, flat or faceted types. Round cross-section bracelets have simple and smooth surface; flat bracelets are mostly engraved with geometric and animal images. Bracelets with open edges have images of snake's heads. Among bracelets one sample is distinguished with kantharos intaglio.

From clothing items in the excavated materials we come across fibulas, hooks, buttons, buckles. Fibulas are of different forms. We come across of round cross-section form, four-faceted made out of wire; in some cases circle thickness is even, in some - middle parts are sharply arched and thickened, we also come across simple and artistically decorated ones. From the fibulas with dif-





ვე ბრტყელი ან დაკუთხული ტიპის. მრგვალგანივევითიანი ერთეულები სადა და გლუვზედა-პირიანია; ბრტყელი სამაჯურები, ძირითადად, გრავირებულია გეომეტრიული და ცხოველური სახეებით. თავგახსნილი სამაჯურების დაბოლოებას, ხშირ შემთხვევაში, გველის თავის გამოსახულება ასრულებს. სამაჯურთა შორის გამოირჩევა ერთ-ერთი ნიმუში, რომლის ფარაკზე კანთაროსია აღბეჭდილი.

სამოსელთან დაკავშირებული ნივთებიდან განათხარ მასალაში გვხვდება ფიბულები, დუგმები, ღილები, ბალთები.

ფიბულები ფორმების მიხედვით ერთგვარად განსხვავებულია. გვაქვს როგორც მრგვალგანივევითიანი ფორმის, ასევე - ოთხნახნაგა მავთულისგანაც დამზადებული; ზოგიერთ ნიმუშზე რკალის სისქე თანაბარია, ზოგზე შუა ნაწილი მკვეთრად მორკალულია და შემსხვილებული, გვაქვს როგორც სადა, ასევე, მხატვრულად დამუშავებული ცალები. სხვადასხვა ორნამენტული სახით შემკული ფიბულებიდან გამოირჩევა ერთ-ერთი, რომლის გარერკალზე მთელ სიგრძეზე დატანებულ ნახვრეტებზე მცირე ზომის ფრინველები კიდიან.

მცირე ზომის ბალთები, რომელთაც სავარაუდოდ, ქსოვილზე დასაკერებლად იყენებდნენ საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი. ისინი თითქმის ერთნაირი ზომისაა, მცირეოდენი გასხვავებით, მოყვანილობა კი ყველას ანალოგიური აქვს - მრგვალი და ზემოდან ოდნავ ამობერილი. გაფორმების მხრივ იშვიათად მეორდება ორნამენტული სახეები. გვაქვს სრულიად სადა ბალთების ნიმუშებიც. მათი ანალოგიური ფორმასაა ბრინჯაოს პატარა ზომის ღილები.

რიტუალური დანიშნულების ნივთებს მიეკუთვნება საკიდები. ეს არის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მხატვრული სტილით დამზადებული ნივთები. როგორც ზოგიერთი ბალთის შესამკობად, ასევე საკიდების გასაფორმებლად და გამოსახულებათა სახეების გამოსაყვანად ოსტატებს ჭვირული ტექნიკისთვის მიუმართა-



ფიბულები, ბრინჯაო. მაქს. 8x8,4 სმ; მინ. 4,5x3,5 სმ  
Fibulas, bronze. Max. 8x8,4 cm; min. 4,5x3,5 cm

ვთ. ყურადღებას იქცევს ცხოველების, მათ შორის ცხენის, ვერძის, ჯიქის და ფრინველების, ფანტასტიკური არსებების სკულპტურული გამოსახულებანი. გვაქვს როგორც მრგვალი დაბალრელიეფური, ასევე ბრტყელი ქანდაკებებიც.

ზარაკების უმრავლესობა მცირე ზომისაა. გვაქვს მოზრდილი ზომის ზარიც, რომელიც მთლიანად ჭკირულია. ზარაკები ჩამოსხმულია სამკუთხა ყუნწთან ერთად და ზედაპირი შემკული აქვთ შვეული ღრმა ღარებით. ზოგიერთი მათგანი გვერდშეჭრილია.

ლითონის სამკაულიდან გვხვდება, ასევე, გრეხილსახიანი ხატის ულელი, სასაფეთქლე რგოლები, ძენკეები, ცილინდრული ხვიები, მიცვალებულის თვალბსა და ტუჩებზე დასაფარებელი ბრინჯაოს ფირფიტები და სხვ.

რაოდენობრივი თვალსაზრისით, ლარილარის პირველ კრემაციულ მოედანზე, კერამიკის შემდეგ, მრავალრიცხოვანია მძივები. მრავალგვარი შეფერილობის, მოყვანილობის და ტექნიკური დამუშავების მძივები სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული. განსაკუთრებით მრავალადა ქვის მძივები, ცალკეულებს მინანქრის კვალიც ეტყობა. გვაქვს თიხის, ლითონის, ქალცედონის, სარდიონის, ფერადი და გამჭვირვალე მინის მძივები, პოლიქრომულიც და ერთფერიც. ქვის მძივები, ხშირ შემთხვევაში, ფერშეცვლილი და დამსკდარია ცეცხლში ყოფნის გამო, გვაქვს ნახეთქი მძივებიც.

ferent ornamental images one sample is exceptional – throughout the whole length of the bracelet small birds are hanging on the tiny holes on its outer surface circle.

Quite a number of small size buckles were discovered, which most probably were used to sew them on the clothes. They are almost of the same size with slight differences, but forms are similar – round and slightly arched on the top. With regard to decorations, ornamental images do not repeat. We also have absolutely simple buckles samples. Small size bronze buttons have similar forms.

Pendants are for sacral use. These are items manufactured in different artistic styles. In some cases craftsmen used filigree techniques to decorate buckles and pendants and create images. Special attention should be paid to sculptural images of animals – horses, rams, panther and birds and fantastic creatures. We also have round, low relief as well as flat sculptures.

The majority of bells are of small size. We have a bigger size bell, which is fully ajour. The bells are casted together with triangle loops and the surface is decorated with vertical deep lines. Some of them are cut into the sides. From metal jewelry we come across round items for temples, thin chains, cylindrical coils, bronze plates, which population used to put on a dead body's eyes and lips, etc.


From quantitative point of view, on the Larilari first cremation platform number of beads come after ceramics. Beads are of different colors, and forms. Technically processed beads are made from different materials. There are numerous stone beads, some have trace of enamel. We have clay, metal, Chalcedon, Cornelian, colored and transparent glass beads, polychromic and sole-colored. Stone beads often have changed color and are fractured due to being in fire, we also have cracked beads.


სამაჯურები, რგოლები  
Bracelets, Rings






ფარაკიანი სამაჯური კანთაროსის  
გამოსახულებით, ბრინჯაო, 6,7x3 სმ  
Bracelet with Kantharos Intalio, Bronze, 6,7x3 cm





ფიბულები  
Fibulas



ღუგმები  
Hooks



ბალთები  
Buckles












დილები  
Buttons

# საკიდები Pendants



MIN 2,7x1,8 cm; MAX 3,2x2,1 cm







2,3×2,4 cm




3,2×2,8 cm




3,3×2,3 cm






ზარაკები და ჯაჭვები  
Bells and chains






ზომომორფული ფიგურები  
Zoomorphic figurines



MIN - 2,3x2,7 cm; MAX - 3,3x3,8 cm

მეორე კრემაციული პლატფორმა  
SECOND CREMATION PLATFORM






კერამიკა  
CERAMICS




თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები  
Ceramic pottery handles fragments

MIN - 3,7x2,7 cm; MAX - 7x3,2 cm






ქვის სალესების ფრაგმენტები  
Grindstones fragments



თიხის ჭურჭლის ძირები  
Ceramic pottery bottoms

მეორე კრემაციული მოედნის მასალის გრაფიკული ჩანახატი. 1-4, 6-15, 18-20 თიხის ჭურჭლის ყურების ფრაგმენტები  
5 ქვის მძივები  
16, 17, 21, 22, 23, 28, 29, 30, 31, 33, 34, 39, 40, 41, 55  
თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები  
24-27, 35-38 რკინის ნივთების ფრაგმენტები  
42 ფიბულა, ბრინჯაო  
43-49, 51-53 ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები  
50 ბეჭედი, ბრინჯაო

◀ Graphical sketch of the second cremation platform. 1-4, 6-15, 18-20. Handle fragments of clayware  
5. Stone beads  
16, 17, 21, 22, 23, 28, 29, 30, 31, 33, 34, 39, 40, 41, 55 - fragments of different clayware  
24-27, 35-38 Fragments of iron items  
42 Fibulae, bronze  
43-49, 51-53 Fragments of bronze items  
50 - Ring, bronze



თიხის ჭურჭლის ყურები  
Ceramic pottery handles

იარაღი  
Weaponry





სამკაული  
Jewelry





# ლარლარის სამაროვანის ბეჭდები LARILARI BURIAL RING-INTAGLIOS





მძივები  
Beads





## ლითონის ნაკეთობათა კონსერვაცია CONSERVATION OF METAL ITEMS

პროექტის ფარგლებში გაინმინდა და კონსერვაცია გაუკეთდა 22 ნივთს. აღდგა და რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა 6 არტეფაქტს (კონსერვატორი ნანა გოგინაშვილი).

Within the framework of the project 22 artefacts were cleaned and conserved. 6 artefacts were restored and conserved (conservator Nana Goginashvili).



რესტავრაციამდე  
Till restoration



რესტავრაციის შემდეგ  
After restoration



რესტავრაციამდე  
Till restoration



რესტავრაციის შემდეგ  
After restoration



რესტავრაციამდე  
Till restoration



რესტავრაციის შემდეგ  
After restoration



რესტავრაციამდე  
Till restoration



რესტავრაციის შემდეგ  
After restoration

## არქეობოტანიკური მასალის პირველადი შესწავლის შედეგები

ლარილარის სამაროვნის კრემაციულ ფენებში აღმოჩნდა სხვადასხვა სახეობის არქეობოტანიკური მასალა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობოტანიკის კვლევების ინსტიტუტის არქეობოტანიკოსმა ნანა რუსიშვილმა მოახდინა რამდენიმე ნიმუშის პირველადი იდენტიფიკაცია.

ნიმუშები წარმოდგენილია როგორც ლარილარის სამაროვნიდან, ასევე ეცერის გორა-ნამოსახლარიდან ( ძვ. წ. I ათასწლეული)

პალეოეთნობოტანიკურ მასალაში იდენტიფიცირებულია:

- ხორბლის ორი სახეობა: რბილი ხორბალი და ორმარცვალა
- ჭვავი
- ფეტვი
- პანტა



## Primary outcomes of archaeo-botanical materials

In the cremation layers of the Larilari burials different type of archaeo-botanical materials were discovered. Archaeo-botanist Nana Rusishvili from the Paleoanthropological and Paleobiological Scientific Institute at the Georgian National Museum carried out primary study of some samples.

The samples are both, from Larilari burial and Etsera hill former settlement (Gora-Namosakhlari) (I millenium BC).

In the paleobotanic material were identified:

- Two types of wheat grain: soft and *Triticum dicoccum*
- Rye (*Secale cereale*)
- Millet (*Panicum miliaceum*)
- Wild pear (*Pyrus caucasica*)



დამწვარი პანტის ნაყოფი ნახშირთან და ძვლებთან ერთად მოყავისფრო-ნაცროვანი ფენიდან  
Wild pear fruit from the ashy and bony brownish-gray layer



პანტა - *Pyrus caucasica*  
Wild pear



მცენარის ფოთლები  
Leaves of the plant



ხის ნაჭერი  
Piece of a tree

პანტის კარბონიზებული ნაყოფები ორ ნიმუშში გამოვლინდა. კავკასიური პანტა გავრცელებულია მთელ კავკასიაში ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში, ასევე ადის 1600-1800მ-დე ზღვის დონიდან.

რბილი ხორბალი დასარეველიანებულია ჭვავით. ხორბლის ნათესების ჭვავით ჭვავით დასარეველიანება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა მთის რეგიონებისთვის.

ნიმუშებში იდენტიფიცირებულია ჭვავის სუფთა ნათესები. საქართველოს არქეობოტანიკურ მასალაში ესაა პირველი შემთხვევა ჭვავის სუფთა ნათესების დაფიქსირებისა. ვინაიდან ჭვავის წარმოშობის სამშობლოდ კავკასია ითვლება, ეს მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს და შემდგომ კვლევებს საჭიროებს.

ფეტვის კულტურა გვიან ბრინჯაოს ხანიდან საკმაოდ ფართოდ ვრცელდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს ფეტვს სვანეთის აგრიკულტურაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

კვლევის ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მცენარის ფოთლებისა და ხის ნაჭრის იდენტიფიკაცია.


Carbonized wild pear fruits were identified in two samples. Caucasian wild pear is spread all over Caucasus, in the forests of upper and middle belts, it also reaches areas of 1600-1800 m. from the sea level.

Soft wheat is infested with rye weeds. Weed infestation of wheat crops is widespread for mountainous regions.

Clean rye crops are identified in the samples. This is the first instance of identifying clean rye crops in Georgian archaeo-botanic materials. As far as Caucasus is considered as a place of rye origin, this discovery is quite important and needs further study.

Millet culture is widespread in east and west Georgia territory from late Bronze era. It seems that millet had an important place in Svaneti agriculture as well.

At this stage identification of piece of tree and leaves was not possible.



კლიანმარცვლიანი ქერი - *Hordeum vulgare* L



რბილი ხორბალი - *Triticum aestivum* L



სარველა ჭვავი - *Secale segetale* (Zhuk.) Roshew



ფეტვი - *Panicum miliaceum* L



ფეტვი - *Panicum miliaceum* L



ფეტვი - *Panicum miliaceum* L



ჩვეულებრივი ჭვავი - *Secale cereale* (Zhuk)Roshew



ორმარცვალა - *Triticum dicoccum* Shrank



ჩვეულებრივი ჭვავი - *Secale cereale* L

## კრემაციული დაკრძალვის წესის სარწმუნოებრივი ასპექტები

დაკრძალვის წეს-ჩვეულება ყველა ცივილიზაციაში ხანგრძლივი ტრადიციის მქონეა. ის ხორციელდება თავისი, დადგენილი გზით იმგვარად, როგორც აქვს შემორჩენილი საზოგადოების ისტორიულ მეხსიერებას და, შესაბამისად, ტრადიცია, წარსულის პრაქტიკა განსაზღვრავს სარიტუალო ქმედებათა მიზანშეწონილობას. ამასთან, დამარხვის წესი დაკავშირებულია სარწმუნოებასთან. „სარწმუნოების“ ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება არა რელიგია ჩვეული გაგებით, არამედ რწმენა-წარმოდგენები სხეულზე, გარდაცვალებაზე, საიქიოზე. რწმენას აყალიბებს ადამიანების წარმოსახვა სამყაროსა და მის წესრიგზე, ყოფიერების იმ ასპექტებზე, რაც მათი ნება-კონტროლის მიღმა დგას და ზეზუნებრივ კანონებს ექვემდებარება. დაკრძალვის რიტუალის შესწავლა-გაანალიზება არქეოლოგიური მასალის საფუძველზე გარკვეულწილად (და არა სრული ვერიფიკაციით) გვაძლევს ინფორმაციას სარწმუნოებაზე, რომელსაც შესაბამისად განმარტავენ, როგორც სინონიმს „საიქიო ცხოვრების რწმენისა“ [Ucko1969:264; Rebay-Salisbury 2002:15], თუმცა ზოგან ის უმაღლესი გარდაცვლილის სოციალური სტატუსის მიმანიშნებელია, ვიდრე რელიგიისა. არსებითად კი დაკრძალვის წეს-ჩვეულება, მისი ფორმა, სარწმუნოებრივის გარდა, განისაზღვრება სხვადასხვა – სოციალური, პოლიტიკური, ფიზიკური და გარემოებითი ფაქტორების ერთობლიობით.

დაკრძალვის ორი წესის, ინჰუმაციისა და კრემაციის არსებობა გარდაცვლილის მიმართ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომებია: როცა, ერთი მხრივ, არის სურვილი – რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს სხეული და მეორე მხრივ,

რაც შეიძლება მალე მოხდეს მისი ტრანსფორმაცია, სულის გათავისუფლება სხეულისაგან, რაშიც მთავარ როლს, როგორც ფიზიკური ფორმით, ასევე მეტაფორულადაც, ასრულებს ცეცხლი.

კლასიკური ხანის ბერძენთათვის ცეცხლი კოსმოსის ერთ-ერთი არსებითი ელემენტიცაა. არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მიხედვით, ის გარდაქმნის სამყაროს, როგორც მატერიალურ სტრუქტურას; პერაკლიტეს სწამდა, რომ ცეცხლი წარმოადგენდა როგორც მატერიალურ სუბსტანციას, ასევე სიცოცხლის თვისობრივი გარდაქმნის საშუალებას. ემპიდოკლე თვლიდა, რომ „ძვლები შეიცავს ორ ნაწილს მინისას, დანარჩენ ორს – წყლისას და ბოლოს კი, ოთხ ნაწილს ცეცხლისას“ [Lungu 2002:133]. როგორც ჩანს, მსგავსმა „მატერიის სტრუქტურა“ შეხედულებებმა განსაზღვრა ცეცხლით გვამის სრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობის იდეა. საცნაურია, რომ ამ ფილოსოფოსთა ეპოქა უახლოვდება კრემაციის წეს-ჩვეულების აღმავლობის ხანას საბერძნეთის ნეკროპოლებში. სადღეისოდ სამეცნიერო მიმოცევაში მიღებულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. VIII ს-დან ძვ. წ. VI ს-ის ჩათვლით და შემდგომაც, ცეცხლს ნორმატიულად იყენებდნენ დაკრძალვის რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში, რომელთა ასახვა მოხდა ხელოვნების (უპირველესად, ბერძნული ვაზათმხატვრობის) ნიმუშებში, ლიტერატურის ძეგლებსა და არქეოლოგიურ მასალაში [Lungu 2002:133].

აქ შემთხვევით არ მომყავს ბერძნული სამყარო, რამდენადაც კრემაციული დაკრძალვის წესი მისგან მომდინარეა. ლუკიანე (ახ.წ.11ს.) განმარტავს

კრემაციას როგორც „ბერძნულ წეს-ჩვეულებას, რომელიც ეწინააღმდეგება დაკრძალვის სპარსულ ტრადიციასა და ეგვიპტელთათვის ჩვეულ მუმიფიცირების წესს“ [Nock 1932:327]. კოლხეთის სამაროვნებისა და დაკრძალვის წესის მიმოხილვისას ბ. კუფტინი, უპირობოდ და უალტერნატივოდ, ნაშრომის დასაწყისშივე „ბერძნულ წეს-ჩვეულებად“ მოიხსენიებს კრემაციას, მოიხმობს რა ჰეროდოტეს „ისტორიებიდან“ (ნიგნი მესამე, 38) დარიოსის ბერძნებთან საუბრის იმ ამონარიდს, „გარდაცვლილი მამების ცეცხლს მიცემის“ შესაძლებლობას რომ ეხება [Куртин1949:92]. ნიშანდობლივია კრემაციის წესის დამკვიდრების ზემოაღნიშნული ქრონოლოგიური საზღვრების თანხვედრა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის პროცესთან, რაც გულისხმობს კოლხეთსა და საბერძნეთს შორის მჭიდრო სავაჭრო, სოციალური და ეკონომიკური კონტაქტების დამყარებასა და თანდათანობით გამყარებას. შესაბამისად, კრემაციული სამაროვანი ლარილარისა (ძვ.წ.VI-IVსს.), ანუ გეოგრაფიულად იმ პუნქტისა, რომელიც კოლხური კულტურის ნაწილად განისაზღვრება, განხილულ უნდა იქნას ამავე კულტურის კონტექსტში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორი კულტურის თანაარსებობამ, არქეოლოგიურად თუნდაც ისეთი დაკავშირებული ფორმებით, როგორიც ეს გვაქვს, ვთქვათ, ფიჭვნარში გამოვლენილი ბერძნული და კოლხური ან, შესაძლოა, მათი ერთობლივი [კახიძე 2007:12-22, 119; Braund 1996:172-190] სამაროვნების სახით, გამოიწვიოს უგულებელყოფა კოლხეთისა და სხვა ქვეყნების კულტურული ინტერაქციებისა, რაშიც, ცხადია, სხვასთან ერთად დაკრძალვის წეს-ჩვეულებაც მოიაზრება.

ლარილარის საკრემაციო მოედნები მეორადი დაკრძალვითა და კრემაციის ნიშნებით მსგავსებას ამჟღავნებს დასავლეთ საქართველოში არსებულ ბრილის, ცაიშის, ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტის, მუხურჩის, პალურის, მერხეულის სამაროვნებთან. შ. ჩართოლანის დაკვირვებით, „ლარილარის საკრემაციო მოედანზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მი-

ცვალებულსა და თანჩატანებულ ინვენტარს სრულად ან ნაწილობრივ წვავდნენ, რის შედეგადაც ნარმოშობილია 25-65 სმ სიმაღლის ნაცროვანი ფენა“ [ჩართოლანი 1968:302].

საინტერესოა, რას გულისხმობს და რატომ ხდებოდა სხეულის „ნაწილობრივი დაწვა“, ანუ არასრული კრემაცია; იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე მერხეულის სამაროვანში, სადაც „მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი ატარებდა ცეცხლში ყოფნის ნიშნებსაც, თუმცა ძვალი მთლიანად დამწვარი არ იყო“ [ბარამიძე 1977:14]. „ცეცხლის კვალი“ ეტყობოდათ ურეკისა და ნიგვზიანის სამარხებში არსებულ ძვლოვან ნაშთებსაც [მიქელაძე 1985:15], ცაიშის საკულტო მოედანზე გამოვლენილ ნივთებსა და ძვლებს [პაპუაშვილი 2015: 9] და სხვ. ჩვენში ამ ფაქტს ჰიპოთეტურად უკავშირებენ ერთგვარ რელიგიურ რიტუალს, რომელიც გულისხმობს მიცვალებულისა და მასთან ჩატანებული ინვენტარის „წმინდა“ ცეცხლში გატარებას გარდაცვლილის ავი სულებისგან განწმენდის მიზნით [ბარამიძე 1977:16-18], თუმცა, ამ რიტუალის სარწმუნოებრივი მხარე მეტად ბუნდოვანია, რაკილა ვერ ხერხდება რომელიმე რელიგიურ სისტემასთან მიმართებით მისი გაანალიზება. ყოველ შემთხვევაში, ცეცხლის „წმინდა“ სტიქიად განსაზღვრება ზოროასტრული რელიგიის პრეროგატივაა, რელიგიისა, რომელიც სრულიად გამორიცხავს ცეცხლთან, ისევე როგორც მინასა და წყალთან, გვამის ან მისი ნაწილის რაიმე სახით შეხებასაც კი; ეს გაცხადებულია ავესტას მე-19, ვიდევდატის (ვენდიდადის) ანუ „დევების (დემონების) სანინაალმდეგო კანონით“ სახელდებულ თავში [Razmjou 2005:154; Zykov 2017:287]. როგორც ცნობილია, გვამი ზოროასტრული წეს-ჩვეულებით, დაკმებდა და „სიჩუმის კოშკებში“ თავსდებოდა მტაცებელ ფრინველთა, ძაღლების, მზის სხივებისა და სიცხის მეშვეობით მისი სათანადო კონდიციამდე მიყვანის მიზნით, რის შემდგომაც გამომშრალ ძვლებს ოსუარიუმებში ათავსებდნენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მკვლევარნი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (ძვ.წ. III ს.) არსებულ ცნობას კოლხეთში მიცვალებულთა

გვამების ხეებზე ჩამოკიდების ჩვეულების შესახებ, რამაც სხვა – უნიდელი და მომდევნო ხანის ბერძენ მწერალთა თხზულებებშიც კპოვა ასახვა (უფრო სწორად, ვარირება), განიხილავენ სწორედ ზოროასტრულ რელიგიასთან მიმართებით. ამ ნეისის მიმდევრობას, მათი აღნიშვნით, მატერიალურად ადასტურებს კოლხეთის სხვადასხვა სამაროვანზე საგანგებო საძვლე ორმოების არსებობა, რომლებშიც მრავალი მიცვალებულის ძვალი გამოვლინდა და რასაც ხეებზე ჩამოკიდების (ჰაერზე დაკრძალვის) შემდგომ ეტაპად, ანუ მეორადი დაკრძალვის ფაქტად მიიჩნევენ [მიქელაძე 1985:17; ბარამიძე 1977:15-19]. მართალია, ივ. ჯავახიშვილი, აპოლონიოს როდოსელის ამ ცნობას, სავსებით მართებულად, კოლხების მაზდეანური სარწმუნოების მიმდევრობის მაუწყებლად თვლიდა, რადგან მიცვალებულთა ინჰუმაციას და კრემაციასაც ეს რელიგია კრძალავდა [ჯავახიშვილი 1951:23], მაგრამ ასეთ შემთხვევაში, უკვე სადღეისოდ არსებული განათხარი მასალის გათვალისწინებით, აუხსნელ გარემოებად რჩება დაკრძალვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნეისის თანაარსებობა: პირველ ეტაპზე ზოროასტრულია (ჰაერზე დაკრძალვა), მომდევნოზე კი მისი გამომრიცხავისა, ანუ მეორადი დაკრძალვისა ნაწილობრივი კრემაციით – ცეცხლთან ძვლების შეხების კვალი, როგორც აღვნიშნე, კოლხეთის სამაროვნებში ხომ არაერთგან დასტურდება. ნიშანდობლივია, რომ ბ. კუფტინის დაკვირვებით, ამ ტიპის სამარხებში დაკრძალვის პირველ და მეორე ეტაპებს შორის დროის ინტერვალი არ არის ხანგრძლივი [Куптин 1949:188], რაც კიდევ უფრო გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ორი, ერთმანეთისგან სარწმუნოებრივად განსხვავებული ნეისით ხანმოკლე დროის მანძილზე დაკრძალულიყო ერთი ან რამდენიმე მიცვალებული. თ. მიქელაძემ ფრთხილად გამოთქვა ეჭვი აპოლონიოს როდოსელის მიერ აღწერილი დაკრძალვის ზოროასტრული ნეისის კავშირზე ხსენებულ არქეოლოგიურ ძეგლებთან, რამდენადაც „ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები, ისევე როგორც კოლხეთის სხვა ზოგადად ამავე ხანის სამაროვნებიც (ძვ.წ.VII-

VI სს., – მ.გ.) იმ ხანას განეკუთვნებიან, როდესაც მაზდეანობა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, ან საუკეთესო შემთხვევაში, როგორც მოძღვრება, ყალიბდებოდა მხოლოდ“ [მიქელაძე 1985:19]. შესაბამისად, დაკრძალვის ნეისის აპოლონიოს როდოსელისეული მაგალითები, მკვლევრის აზრით, უფრო ადრეულ, მაზდეანობამდელი – სეარაუდოდ, არგონავტების მითის გაჩენის ეპოქის (ან არაუგვიანეს I ათასწლეულის დასაწყისის) ტრადიციებშია საძიებელი [მიქელაძე 1985: 17].

ამავე აზრს ავითარებს დასავლეთელი არქეოლოგი ს. ვულფი, რომელიც, მიმოიხილავს რა ლევანტზე არსებულ, მისივე განმარტებით, „სპარსული პერიოდის სამარხებს“ (ძვ.წ. 539-333ს.), აღნიშნავს, რომ ყველა სამარხი ამ ტერიტორიაზე ინჰუმაციურია, ხოლო ის გარემოება, რომ ამავე ხანის კრემაციული სამარხები აღმოჩენილ იქნა ტალ სუკას სანაპირო ზოლში (სირია), უნდა აიხსნას იმ რეგიონში ბერძნული მოსახლეობის არსებობით (ხაზი ჩემია – მ.გ.), რამდენადაც: „სპარსული პერიოდის ყველა სამარხი პირველადი დაკრძალვის სამარხებია. აქ არ ჩანს კვალი ზოროასტრული ნეისისა, რომლის მიხედვითაც გვამი გარეთ გაქონდათ, ხოლო შემდგომ, ძვლებს აგროვებდნენ, არც ოსუარიუმების გამოყენების შემთხვევა მიიკვლევა აღნიშნულ პერიოდში“ [Wolf 2002:133]. მაშასადამე, ირკვევა, რომ თვით ზოროასტრიზმის აღმავლობის ხანაშიც<sup>1</sup> კი არ ჩანს ირანის პოლიტიკური და, შესაბამისად, კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონის, კერძოდ, ლევანტის სამარხებში რაიმე კვალი ამ რელიგიის ზემოქმედებისა და დაკრძალვის ადგილობრივ ნეს-ჩვეულებებზე.<sup>2</sup> ირანელი მკვლევრის, შ. რაზმჯუს მიხედვით, „მართალია, ზოროასტრული რელიგია ხორცის გვამისგან განლევას (დეკარნაციას) ბუნების მოვლენას, ცხოველსა თუ ფრინველს ანდობს, სრულიად ცხადია ის გარემოება, რომ ირანის მოსახლეობის უმრავლესობა ამ ტრადიციას არ მისდევდა, რაც დასტურდება ოსუარიუმების რაოდენობის საგრძნობი ნაკლებობით და სხვა ფაქტებითაც. პირიქით, გამოვლენილი სამარხები დაკრძალვის ჩვეულებრივ ნეის

მონუმბს, მაგრამ ორივე ეს წესი თანაბრად გამო-  
რიცხავს ცეცხლთან შეხებას მისი საკრალურობის  
გამო – ეს უკანასკნელი ხომ სიმბოლოა დიდი ღმე-  
რთის ღვთაებრივი ნათლისა. მეფეთა და დიდებუ-  
ლთა სამარხებს რაც შეეხება, მათ კლდეში ან ქვაში  
კვეთდნენ, ან ბრინჯაოს და სხვა გამძლე მასალის-  
გან დამზადებულ კუბოებში ათავსებდნენ“ [Razmjou  
2005: 154-156]. ქსენოფონტი, ვისაც ახლო ურთიე-  
რობა ჰქონდა სპარსეთის სამეფო კარის წარმომ-  
დგენელ კიროს უმცროსთან, მოგვითხრობს, თუ რა  
დაუბარა ანდერძად კიროს დიდმა თავის ვაჟებსა და  
სპარს დიდებულებს: „...ჩემს სხეულს რაც შეეხება,  
როცა მოკვდები, ნუ გააკარებთ მას ოქროს, ვე-  
რცხლსა და მისთანას, არამედ მიმბარეთ მინას რაც  
შეიძლება სწრაფად, რამეთუ რა უნდა იყოს იმაზე  
კურთხეული, ვიდრე შეერთება იმ მინასთან, რომე-  
ლიც ბადებს და ასაზრდოებს ყოველივე მშვენიერსა  
და კეთილს“ [Razmjou 2005:154]. ჰაერზე დამარხვას  
კი შ. რაზმჯუ სპარს მოგვთა ტრადიციად მიიჩნევს,  
რომელსაც სანყისი, სავარაუდოდ, წინააქემენურ ხა-  
ნაში უნდა ჰქონოდა [იქვე].

როგორც ირკვევა, არც არქეოლოგიურად და-  
სტურდება ამ წესის არსებობა წინარე ეპოქაში,  
კერძოდ, რკინის ხანაში, რომლის ქრონოლოგიურ  
ჩარჩოებს ძვ.წ.1500 - ძვ.წ. 550 წწ-ით განსაზღვრა-  
ვენ [Fallahian 2013:1]. გილანის, ირანის ჩრდილოეთ  
პროვინციის სხვადასხვა პუნქტებზე – მარლიკში,  
კალურაზში, ჯამშიდ აბასში, შაჰრიდსა და სხვა  
არაერთგან, გამოვლენილ იქნა ამ ეპოქის უამრავი  
სამაროვანი, რომლებიც ტიპოლოგიურად რამდენი-  
მე სახეობადაა კლასიფიცირებული: ვაკულარული,<sup>3</sup>  
ქვის ფილებით ამოშენებული, ცისტის, ორსართუ-  
ლიანი, კრიპტა-სამარხები და სხვ.; მათში მიცვალე-  
ბული სამარხის ფსკერზე ან მასზე გადებულ ქვის  
დიდსა და გრძივ ლოდზე იწვა უმეტესწილად მარ-  
ჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ფეხებმოხრილი და  
იშვიათად, პირაღმა მდგომარეობაში. მოპოვებული  
შესაბამისი მასალის ანალიზით დგინდება, რომ მათ  
ემოსათ გამოსასვლელი, დეკორატიული ღილებით  
შემკული ტანისამოსი [Fallahian 2013:2], ხოლო მე-

ტად მრავალფეროვანი სამარხი ინვენტარი მოიცა-  
ვდა (ან საერთოდ არ მოიცავდა) ოქროს, ვერცხლის,  
ბრინჯაოს, რკინის, კერამიკულ ნივთებს, ანთრო-  
პომორფულ და ცხოველთა გამოსახულებებიან  
ფიგურებსა და საბრძოლო, სამეურნეო თუ საყო-  
ფაცხოვერბო დანიშნულების სხვადასხვა საგანს.  
ამ სამარხებთან სიახლოვეს, ზოგან ცხენთა ცალკე  
სამარხებიც გამოვლინდა. ირანელ არქეოლოგ ი.  
ფალაიანის ნაშრომში არსად განიხილება აპოლო-  
ნიოს როდოსელის ცნობასთან რაიმე ნიშნით მია-  
ხლოებული რიტუალი და ასევე, ცეცხლის რაიმე  
კვალი აღნიშნულ სამარხებში. საინტერესოა ერთი  
ეპიგრამა, სპარსი მონის, ევფრატეს თხოვნას რომ  
გადმოგვცემს თავისი ბერძენი ბატონისადმი: „ნუ  
დამწევ მე, ფილონიმე, და ნუ ნაბილწავ ცეცხლს  
ჩემთან შეხებით. მე სპარსი ვარ, სპარსი მშობლე-  
ბის შვილი. ცეცხლის ნაბილწვა ხომ უფრო დიდი  
უბედურებაა ჩვენთვის, ვიდრე სიკვდილი. მიმბარე  
მე მინას, ჩემო ბატონო, მაგრამ ნუ მომაკურებ კა-  
მკამა წყალს, რამეთუ თაყვანს ვცემ ნაკადულებს“  
[Razmjou 2005:154].

ბ. კუფტინი, მიმოიხილავს რა ეპერის სამარხში მეო-  
რადი დაკრძალვის წესს, აპოლონიოს როდოსელის  
ცნობის მაგალითად მოიხმობს არქანჯელო ლამ-  
ბერტისა და XVII-XVIII სს-ების მოგზაურთა აღწერი-  
ლობებს, რომლებიც აფხაზეთში ანალოგიურ, ე.წ.  
ჰაერზე დამარხვის წესზე მოგვითხრობენ და იქვე  
აღნიშნავენ, რომ დაკრძალვის ის წესი, რაც ირან-  
ში, ბაქტრიასა და პართიაში დასტურდება „არგო-  
ნავტიკის“ შექმნის ჟამს, ვერ პოულობს საერთოს  
კოლხეთის სამაროვნებზე გამოვლენილ წეს-ჩვეუ-  
ლებასთან [Куптин 1949:186].

რუმინელი მკვლევრის, ვ. ლუნგუს მიხედვით, შა-  
ვზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში  
(სკვითები) ინჰუმაციურ, ხოლო დასავლეთში (თრა-  
კიელები, გეტები) კრემაციულ სამარხთა შედარები-  
თი სიჭარბე არქაული ხანიდან ელინისტურ ხანამდე,  
განსხვავებულ რელიგიურ ტრადიციათა გავლენის  
შედეგი უნდა იყოს, რასაც თავი უნდა ეჩინა კოლო-  
ნიზატორი ბერძნებისა და ადგილობრივი მოსახლე-



დაკრძალვის წესის ყველაზე ადრეული მაგალითი ძვ.წ. მე-3 ათასწლეულით დათარიღებულ სამგორის ყორღანის სახით გვაქვს [გობეჯიშვილი 1959:191], რასაც მეტი ინტენსივობით, შუა ბრინჯაოს და ადრერკინის ხანის სამარხები ეხმაურება, მაგრამ ინჰუმაციურ სამარხებთან ერთად არსებული, კრემაციული დაკრძალვის წესის სისტემად ჩამოყალიბება, რასაც შავზღვისპირეთში ძვ.წ. VIII-VII სს-დან ჰქონია ადგილი, ვფიქრობ, ბერძნულ სამყაროსთან კავშირით უნდა აიხსნას. ეს არ ნიშნავს უცხო წესის თავს მოხვევას ადგილობრივ ტრადიციაზე, რამდენადაც, მკვლევართა მართებული მოსაზრებით, სოციალური და ეკონომიკური კონტაქტები ორ ან მეტ კულტურულ ტრადიციათა შორის უმაღლეს კულტურულ ცვლილებას, მოდიფიკაციას უწყობს ხელს, ვიდრე ახალი კულტურის წარმოქმნას. [Aleksihin... 1983:146]. „კულტურაში“ კი, ცხადია, დაკრძალვის წესიც იგულისხმება. ამის მკაფიო მაგალითია ფიჭვნარში განათხარი ეთნიკურად ბერძენთა ძვ.წ. V ს-ის სამაროვნები, რომლებშიც დადასტურებული დაკრძალვის ბერძნული წეს-ჩვეულებანი გარკვეულ შემთხვევებში კოლხურ გავლენებს განიცდიან [კახიძე 2007: 225]. ამგვარი კავშირების კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა ისტორიული კოლხეთის სამაროვნებში გამოვლენილი ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებები ცხენზე გვერდულად მჯდომ ქალღვთაებათა გამოსახულებით, რომელთა იკონოგრაფიულ ანალოგს წარმოადგენს საბერძნეთში, კ. სამოსზე აღმოჩენილ ქალღვთაებათა ფიგურები; ამ უკანასკნელის ერთ-ერთ ნიმუშზე ვარაუდობენ, რომ ის დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. VIII-ის ნახევარში ისეთ სახელოსნოში, სადაც თანაარსებობდა ბერძნული ორიენტალიზებული და კავკასიური ელემენტები [Voyatzis 1992: 262-271]. ჩვენში ამ ტიპის ქანდაკებათა მრავლად გამოვლენამ გაამყარა მოსაზრება სამოსის აღნიშნულ ქანდაკებათა კოლხური წარმომავლობის შესახებ [მიქელაძე 1985:63; პაპუაშვილი 2015:23], რაც არგუმენტია იმისა, რომ კოლხურ-ბერძნული კონტაქტები უნდა დაწყებულიყო გაცილებით ადრე, ვიდრე დიდი ბერძნული

კოლონიზაცია მოიცავდა მთელ შავზღვისპირეთს [პაპუაშვილი 2015:23].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა იყოს მიცვალებულთა დატირების საწესო რიტუალის გასაოცარი, ზედმინეწითი მსგავსება ძველ ბერძნებსა და ისტორიული კოლხეთის მკვიდრთა შორის. თ. სახოკიას აღწერილობით, სამეგრელოში, როცა ვინმე გარდაიცვლებოდა, სოფელში გაისმოდა ქალების კივილი და მამაკაცების ღრიალი, რაც იყო ნიშანი ოჯახში დატრიალებული უბედურებისა. მოტირალი ქალების თანაგრძნობა ოჯახისადმი ასე გამოიხატებოდა: „ქალები ლოყებსა და გადაღლილ გულმკერდს ფრჩხილებით იკანრავენ და სისხლს იღვენენ, თავზე თმას იგლეჯენ...აქვე სრულდება სამგლოვიარო სიმღერა „ზარი“ [სახოკია 1940:168]. ცნობილია, რომ სოლონი (ძვ.წ. დაახლ. 640-560 წწ.) ებრძოდა ზედმეტობებს როგორც ყოფაში, ისე რიტუალში; მაგალითად, მან აუკრძალა ქალებს დატირებისას პირის ხოკვა, მკერდზე მუშტის ცემა, საგანგებოდ მოგონილი სატირალი ტექსტები (რაც ჩვენთვის დასტურდებოდა – მ.გ.), მკვდრის გასვენებისას ნივილ-კივილი და სხვ. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყოველივე სოლონის დროს უკვე წესად დანერგული ყოფილა [სურგულაძე 2003:14].

დ. კურციისა და ჯ. ბორდმანის აღნიშვნით, ბერძნულ ვაზათმზატვრობაში, *პროთესისის* (ბერძნ. *Prothesis* – დაკრძალვამდელი მდგომარეობა) ამსახველ სცენებში, სარეცელზე დასვენებული გარდაცვლილის თავმდგომი ქალები „თმებს იგლეჯენ, ლოყებს იხოკვენ, თავსა და მკერდში მუშტებს იშენენ“ [Kurtz, Boardman 1971:144]. ამგვარ ინტერაქციათა დამადასტურებელი შემთხვევები შეუნიშნავს XVIII-ის იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტისაც: „...გარდა ამისა, (სამეგრელოში, მ.გ.) მიცვალებულის სულის მოსახსენებლად დანიშნული აქვთ კიდევ აღდგომის მეორე დღე, როდესაც ასრულებენ ბერძენთა ალაპის მსგავსს“ [ლამბერტი 1938:67]. შესაბამისად, შემთხვევითა არაა, რომ ბერძნულ სამარხთათვის სახასიათო სააღაპო მოედნების არსებობა ჩვენშიცაა დადასტურებული [კახიძე 2007:31].

ათენში, ძვ. წ. დაახლოებით 400 წლისთვის, კრემაცია თანდათანობით ნაკლებ პოპულარული ხდება (ისევე როგორც კოლხეთში) და რამდენადაც ერთი მონაცემიც არ გვაქვს ამ ფაქტის კავშირისა რაიმე სახის რელიგიურ ცვლილებასთან, მკვლევარნი ამ გარემოებას სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით ხსნიან [Rebay-Salisbury 2012:20].

ცხადია, ლარილარის სამაროვანზე ბერძნული კოლონიზაციის უშუალო კვალის ძებნა, ფიჭვნარის სამარხთა დარად, საფუძველს მოკლებულია, მაგრამ ის გარემოება, რომ აქ სახეზეა კრემაციის ნიშნებიცა და ბერძნული იმპორტიც, მართებულს ხდის მის მოქცევას შავზღვისპირეთის ამ ტიპის სამაროვანთა ერთიან სივრცეში. ამასვე გულისხმობს შ. ჩართოლანი, როცა აღნიშნავს, რომ „ლარილარის სამაროვანი მრავალ არქეოლოგიურ ძეგლს უახლოვდება თვით მიცვალებულის დასაფლავების წესითაც“, რის შემდგომაც იგი ჩამოთვლის შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მთელ რიგ პუნქტებს, ხოლო ჩვენში განათხარ ძეგლთაგან კავშირების ნიშნით გამოყოფს რაჭაში არსებულ ბერილის<sup>1</sup> სამაროვანს, სადაც მიცვალებულთა გვამები და ინვენტარი ერთად არის დამწვარი საამისო ვრცელ მოედანზე. მისივე დაკვირვებით, ლარილარში მიცვალებულს ჩაცმულ-დახურულსა და იარაღ-სამკაულით მორთულს წვედნენ ერთიან ფართობზე. ამიტომაც ნაცროვან ფენაში ქოტურად არის არეული სხვადასხვა პირთა კუთვნილი იარაღ-სამკაული [ჩართოლანი 1968:315].

კოლხეთში დადასტურებულ დაკრძალვის ამ წესზე – სრულ ან ნაწილობრივ კრემაციაზე – წერილობითი წყაროებისა და ვიზუალური მასალის სრული არარსებობის გამო, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყველა ის მონაცემი, რასაც ვაწყდებით უცხოურ წყაროებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრის მომცემია კლასიკური ხანის რომაელ ავტორთა ცნობები, რომლებიც რეალურ ფაქტებს ასახავს და რომლებიც, სხვასთან ერთად, ვფიქრობ, ნათელს ჰყენს ნაშრომის თავში დასმულ კითხვას ნაწილობრივი კრემაციის შესახებ.

